თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“
P.S.
„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

წარმატებულთა თუ წარუმატებელთა იმპორტი?

იხილეთ მე-2 გვერდზე

№36 (724) 8 - 14 დეკემბერი, 2014 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი | PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

„ეკონომიკა წინ მიდისო და ეს არის წინსვლა?!“

რა მოუვიდა ლარს?

იხილეთ მე-4 გვერდზე

რატომ ემუქრება ქუთაისის ვიცე-მერი გაფიცულ ბიბლიოთეკარებს?

ბიბლიოთეკის თანამშრომელთა შემცირება ატესტაციის ჩატარების შემდეგ მოხდება?

ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომლები ხელფასების ზრდას ითხოვენ

გასულ კვირაში ქუთაისის ილია ჭავჭავა)ის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა გამაფრთხილებელი გაფიცვა მოაწყვეს. ისინი ხელფასის გაზრდას და შენობის რეაბილიტაციას ითხოვენ. ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ გაფიცვა იმ დრომდე გაგრძელდება, სანამ მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება.

ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკა საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ბიბლიოთეკაა. 1873 წლის 26 ოქტომბერს პედაგოგ ანტონ ლორთქიფანი)ის მიერ დაარსდა პირველი კერ)ო ბიბლიოთეკა — საკითხავი კაბინეტი 1500 ცალი წიგნით.

1997 წელს საჯარო ბიბლიოთეკას ეწოდა ქუთაისის ილია ჭავჭავა)ის სახელობის სამეცნიერო-უნივერსალური ბიბლიოთეკა.

ფონდი შეადგენს 1 მილიონ საბიბლიოთეკო დოკუმენტს, წიგნებს, პერიოდულ გამოცემებს, CD-ROM-ებისა და DVD-ის კოლექციებს. ფონდში დაცულია როგორც ქართული, ისე უცხოენოვანი ლიტერატურა.

ბიბლიოთეკის სიმდიდრეა უნიკალური და იშვიათი გამოცემები, რაც ეროვნულ საგან)ურს წარმოადგენს.

ბიბლიოთეკაში ამჟამად 14 განყოფილება ფუნქციონირებს და 140 ადამიანი მუშაობს. მათ ანაზღაურებას კი მათივე ფუნქციები განსაზღვრავს: ბიბლიოთეკის თანამშრომელთა შორის მაქსიმალური ხელფასი — 296 ლარი განყოფილების გამგეს აქვს, ხოლო დამლაგებლის ანაზღაურება 160 ლარია.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

„თანამედროვე ვითარებამ მწერალი „კლოუნად“ აქცია...“

ცირა ყურაშვილი: „ლიტკონკურსი პროკრუსტეს სარეცელია“

იხილეთ მე-5 გვერდზე



ორგანიზაცია PIN-ის დახმარებით სოციალური სტატუსის მქონე ახალგაზრდებმა საკუთარი ბიზნესის აწყობა შეძლეს

იხილეთ მე-6 გვერდზე

ჰოროსკოპი — გვ. 7
სკანვორდი — გვ.7
კროსვორდი — გვ. 7

რა პრინციპით მოხდება სოციალური დახმარების გაცემა

იხილეთ მე-3 გვერდზე

ფაქტები და მითები ევროკავშირის შესახებ

ფინანსთა მინისტრის განცხადება, თითქოს კანონპროექტი თამბაქოს აქციზის გაზრდასთან დაკავშირებით ევროკავშირთან 10 წლის წინ აღებული ვალდებულებაა, მცდარია

იხილეთ მე-4 გვერდზე

საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა პასიურია

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება არ არსებობს?

იხილეთ მე-2 გვერდზე

საქართველოში ყველაზე მეტი შიდსით დაავადებული თბილისსა და სამეგრელოში ცხოვრობს

იხილეთ მე-7 გვერდზე

დიქტატორის მორიგმა გადაწყვეტილებამ მსოფლიო შოკში ჩააგდო

იხილეთ მე-7 გვერდზე

PSnews.ge
ISSN 1987-7056

წარმატებულთა თუ წარუმატებელთა იმპორტი?

უკრაინის ახალ მინისტრთა კაბინეტში ჯანდაცვის მინისტრის პორტფელი ქართველს ჩააბარეს. უკრაინის რადამ მინისტრთა კაბინეტი დაამტკიცა, რომლის შემადგენლობაში ალექსანდრე კვიტაშვილიც არის. ახალ მინისტრთა კაბინეტს რადას 288 დეპუტატმა დაუჭირა მხარი, ერთი კი წინააღმდეგი წავიდა.

ალექსანდრე კვიტაშვილი პრეზიდენტ პოროშენკოს ბლოკმა უკრაინის ჯანდაცვის მინისტრობის კანდიდატად წარადგინა. კვიტაშვილი მიხეილ სააკაშვილის მთავრობაში ანალოგიურ პოსტს იკავებდა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობდა. უკრაინის პრეზიდენტმა პეტრე პოროშენკომ მას უკრაინის მოქალაქეობაც მიანიჭა. უკრაინის მოქალაქეობა ალექსანდრე კვიტაშვილთან ერთად კიდევ ორმა უცხო ქვეყნის მოქალაქემ — ნატალია იარესკომ და აივარას აბრამოვიჩუსმა მიიღეს.

„უკრაინას რეფორმები სჭირდება, ჩვენ დღეს როგორც არასდროს გვჭირდება სახელმწიფოს მართვის, კორუფციასთან ბრძოლის, ფინანსური მართვის, ანტიკრისიზული მენეჯმენტის საერთაშორისო პრაქტიკა, რომლის შემოტანა მხოლოდ უცხოელ სპეციალისტებს შეუძლიათ. ჩვენ ვიპოვეთ ადამიანები, რომლებიც მზად არიან, უკრაინის მოქალაქეები გახდნენ. ამიტომ ხელს ვაწერ სამი მაღალპროფესიონალი სპეციალისტისთვის უკრაინის მოქალაქეობის მინიჭების შესახებ ბრძანებას. ერთად გავიმარჯვებთ," — განაცხადა **პოროშენკომ.**

„არ ვიყავი მზად არც შემოთავაზებისთვის და არც გრძელვადიანი დარჩენისთვის, ამიტომ ჩამოვედი, რომ ჩემი პირადი ნივთები წავიღო. დაძაბული პერიოდია, ბიუჯეტის მიღებაა საჭირო, ანტიკრისიზული პროგრამის გატანაა საჭირო, მსოფლიო სავალუტო ბანკთან და ფონდთან არის საუბარი და ძალიან საინტერესო პერიოდი იწყება. ყოველ შემთხვევაში, ამ ყველაფერს ძალიან კარგი რეაქცია მოჰყვა, ძალიან ძლიერი მინისტრთა კაბინეტი ჰყავს უკრაინას," — განაცხადა საქართველოში პირადი ნივთების წასაღებად ჩამოსულმა **სანდრო კვიტაშვილმა**. მისივე თქმით, აღნიშნა, მზად არის, საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს უკრაინაში ვიზიტის ფარგლებში შეხვდეს, თუ ეს პროტოკოლით იქნება გათვალისწინებული.

რეაქცია საქართველოდან — „საქართველოში კვიტაშვილის მინისტრობის დროს ჯანდაცვის სფეროს მაინცდამაინც სიკეთე არ დატყობია"

როგორც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა ტელეკომპანია „კავკასიის" ეთერში, გადაცემა „ბარიერში" აღნიშნა, უცხო ქვეყნებიდან მინისტრების მოწვევის პრაქტიკა მსოფლიოში მაინცდამაინც არ არის გავრცელებული.

„ჩვენ ვიცით, რომ არის ბევრი გზა და საშუალება, თუ ვინმეს სურს გამოცდილების გაზიარება, მიღება. ჩვენ ქართველები ძალიან ხშირად მივმართავთ ამ ხერხს და ბევრი უცხოელი კონსულტანტი ყოფილა და არის საქართველოში. ეს არის საკონსულტაციო დონის შეხვედრები. ასე ნატურალიზაციის გზით მინისტრების გამოძებნა, ცოტა არ იყოს უჩვეულო ხერხია. მე ვიცი ნატურალიზაციის გზით, როდესაც კალათბურთის ეროვნულ გუნდში მოიწვევ ადამიანს და მოქალაქეობას მიანიჭებ. რაც შეეხება ქვეყნის მართვას, ამას კომპეტენციისა და უნარ-ჩვევების გარდა, რაც არ უნდა მაღალი იყოს ამა თუ იმ პირის კომპეტენცია, კიდევ სხვა რამ სჭირდება," — განაცხადა **უსუფაშვილმა** და დასძინა, რომ ეს უკრაინელების მხრიდან საკმაოდ საინტერესო და რისკიანი ექსპერიმენტია.

„მე უკრაინელ ხალხს ვუსურვებ, რომ რაც შეიძლება სწრაფად ნახონ გაუმჯობესება ჯანდაცვის სისტემაში. ამასობაში, კი ბატონ კვიტაშვილს ვუსურვებ, რომ უკრაინაში მაინც იქნებ მოახერხოს თავისი იდეების რეალიზება, ვინაიდან საქართველოში მინისტრობის დროს ამ დარგს მაინცდამაინც სიკეთე არ დატყობია," — განაცხადა უსუფაშვილმა.

სააკაშვილის მთავრობის მაღალჩინოსნების უკარინაში დანიშვნაზე ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, საქართველოში გაჩნდა კითხვა, ხომ არ იმოქმედებს ეს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაზე და უფრო მეტიც — ხომ არ გადაიდება ან ჩაიშლება უკრაინაში დაგეგმილი საქართელოს პრემიერ-მინისტრის ოფიციალური ვიზიტი. ვიცეპრემიერ კახა კალაძის განცხადებით, უკრაინაში პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტის გადადების აუცილებლობა არ არსებობს.

„კონკრეტული დანიშვნები, რომელიც კვიტაშვილს და ზღულაძეს ეხება, ნამდვილად არ არის იმის საბაბი, რომ პრემიერ-მინისტრის ოფიციალური ვიზიტი გადაიდოს. ეს მათი საკადრო პოლიტიკაა, მათ მიიღეს ეს გადაწყვეტილება და მე როგორც საქართველოს მოქალაქეებს, ამ ორ ადამიანს უკრაინაში წარმატებებს ვუსურვებ" — განუცხადა კალაძემ ტელეკომპანია „იმედს".

ამ თემას „კავკასიის" ეთერში გამოეხმაურა „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერი ნინო ბურჯანაძე. გადაცემა „ბარიერში" სტუმრობისას ნინო ბურჯანაძემ განმარტა, თუ რა შემთხვევაში ფიქრობდა იმას, რომ საქართველოს უკრაინასთან დიპლომატიური ურთიერთობა გაეწყვიტა.

უკრაინაში შექმნილია მითი, რომ სააკაშვილმა საქართველო ააყვავა...

„ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ინფორმირებული იყოს უკრაინის ხელისუფლება და არავითარ შემთხვევაში არ წავიდეს იმ ნაბიჯზე, რომ ადამიანები, რომლებიც საქართველოში იძებნებიან კონკრეტული დანაშაულისთვის, აღმოჩნდნენ მეგობარ სახელმწიფოში მაღალ თანამდებობებზე" — განაცხადა **ბურჯანაძემ**. მისივე თქმით, ის, რომ „ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები და მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში ასე დაფასებულები არიან, ეს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების დანაშაულია და ეს ხელისუფლებამაც აღიარა.

„კვიტაშვილი ნაწილია იმ მითისა, რომელიც უკრაინაშია შექმნილი, რომ სააკაშვილმა და მისმა გუნდმა საქართველო ააყვავა, რომ საქართველოში პრობლემები აღარ არის, კორუფცია აღარ არის. საბჭოთა კავშირის დროს იყო ასეთი რამ, რომ საბჭოთა ავადმყოფი ყველაზე ჯანმრთელი ავადმყოფია მსოფლიოშიო. ეტყობა, უკრაინაში ჰგონიათ, რომ კვიტაშვილის მინისტრობის შემდეგ საქართველოში ან ყველაზე ჯანმრთელი ავადმყოფები არიან, ან საერთოდ აღარ ავადმყოფობს არავინ" — განაცხადა ბურჯანაძემ.

როგორც ბურჯანაძე მიიჩნევს, უკრაინაში სააკაშვილის დროინდელი მაღალჩინოსნების დანიშვნამ აჩვენა, რომ „ნაციონალური მოძრაობა" ძალიან სერიოზულად ემზადება და უკრაინაში მათი ყოფნის მთავარი მოტივი ნამდვილად არ არის საქართველოდან წასვლა. ისინი უკრაინაში ამზადებენ სერიოზულ პლაცდარმს იმისთვის, რომ საქართველოში დაბრუნდნენ.

პარლამენტის დეპუტატი გიორგი გაჩილაძე კი ვარაუდობს, რომ უკრაინის მთავრობაში ქართველი კადრების დანიშვნა საქართველოსთვის ცუდი შედეგის მომტანი იქნება. როგორც გაჩეჩილაძემ „პირველ პრესკლუბში"

ალექსანდრე კვიტაშვილი

განაცხადა, მოსალოდნელია, რომ „ნაციონალური მოძრაობის" დროინდელი მაღალჩინოსნები მეზობელ ქვეყანაში არასწორ რეფორმებს გაატარებენ.

„ამიტომ ძალიან კარგი იქნება, თუ უკრაინის ახალი ხელისუფლება საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას რაღაცას დაეკითხება და რჩევებს მიიღებენ იმ ადამიანებთან დაკავშირებით, რომლებმაც საქართველო წლების განმავლობაში უბედურებაში ამყოფა. კიდევ ვამბობ, მათ რაც უნდათ ის ქნან, მაგრამ საქართველოს ეს ძალიან ცუდად მოუტრიალდება. გარკვეული პერიოდის შემდეგ იტყვიან — ნახეთ, რა გვქნეს ქართველებმა. ეს ძალიან ცუდია იმიტომ, რომ უკრაინა ჩვენი მეგობარი ქვეყანაა," — განაცხადა **გაჩეჩილაძემ.**

ასევე გავრცელდა ინფორმაცია, გარდა კვიტაშვილისა, მაღალ თანამდებობაზე ინიშნება ვანო მერაბიშვილის ყოფილი მინისტრის მოადგილე ეკა ზღულაძე. დეპუტატისთვის გაუგებარია ეკა ზღულაძის როლი უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირებაში. „აქ ზღულაძე რას წარმოადგენდა? მარტო განცხადებებს აკეთებდა. ვინ ეკითხებოდა რამეს, ან რა იცის საერთოდ რა არის შინაგან საქმეთა სამინისტრო? მეტი საქმე არ ჰქონდა მერაბიშვილს ზღულაძისთვის ჩაებარებინა ანგარიში. რისთვის გააკეთა ეს უკრაინამ ვერაფრით ვხვდები," — აღნიშნა გაჩეჩილაძემ.

უკრაინის პრეზიდენტი ექსპერიმენტებს მიმართავს...

საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის სპეციალისტი არჩილ გამზარდია აცხადებს, რომ უკრაინაში ალექსანდრე კვიტაშვილის ჯანდაცვის მინისტრად დანიშვნა საკვირველია.

„კვიტაშვილი „ნაციონალური მოძრაობის" დროს მინისტრობიდან გადააყენეს. მისი მუშაობა არაეფექტურად თავად შეაფასეს. ყველასთვის საკვირველი იყო, რომ მაინცდამაინც კვიტაშვილი აღმოჩნდა უკრაინაში მინისტრად" — განაცხადა მან. როგორც გამზარდიამ „პირველ პრესკლუბში" აღნიშნა, მსგავსი რამ საქართველოში რომ მომხდარიყო, საზოგადოება მეტად მტკივნეულად აღიქვამდა.

„არათბილისელ პიროვნებას ლამის მერობის უფლება წაართვეს. ამ ფონზე, საქართველოს მინისტრთა კაბინეტში უცხო ქვეყნის მოქალაქე რომ წარმოდგენილიყო, შეურაცხმყოფელი იქნებოდა. რაც შეეხება უკრაინულ საზოგადოებას, როგორც ჩანს, ის ჩვენზე ნაკლებად მტკივნეულია მსგავსი საკითხების მიმართ. ალბათ, იქნება იქაც ხალხი, რომელთაც ეს არ მოსწონთ, მაგრამ, საბოლოო ჯამში, თუკი ეფექტური იქნებიან ეს პირები, საზოგადოება შეიძლება უარყოფითად არ შეხვდეს ამ ფაქტს, რადგან საკუთარი მთავრობის არაეფექტურობა გამოცდილი აქვთ. როგორც ჩანს, ამჟამინდელი პრეზიდენტი უცხოელების დანიშვნით ექსპერიმენტს მიმართავს იმიტომ, რომ უკრაინაში დიდი ხანია, აღმასრულებელი ხელისუფლება არც ისე ეფექტურია. რაც შეეხება პოსტზე ქართველის დანიშვნას, უკრაინაში „ნაციონალური მოძრაობა" — როგორც ხელისუფლება თავის დროზე საკმაოდ კარგად გაყიდეს. „ნაციონალები" მათთან ურთიერთობდნენ და ბოლო დროს განვითარებულ პროცესებში ამჟამინდელ ხელისუფლებაზე უფრო აქტიურად იყვნენ ჩართულები," — აღნიშნა მან.

გამზარდიას აზრით, არსებული ვითარებით ორი ქვეყნის ურთიერთობებში განსაკუთრებული არაფერი ხდება.

„როდესაც პოსტზე მხოლოდ კვიტაშვილია დანიშნული და საუბარია ეკა ზღულაძის დანიშვნაზე, ეს არ არის მოცემულობა, რომლის გამოც ჩვენმა ხელისუფლებამ სხვა ქვეყანასთან მიმართებაში განსაკუთრებული პოზიცია უნდა დაიჭიროს. თუ ეს მოცემულობა შეიცვლება და მნიშვნელოვან თანამდებობებზე ის პირები აღმოჩნდებიან, რომლებიც საქართველოში სხვა სტატუსით არიან წარმოდგენილნი, მაშინ ვითარება შეიცვლება," — აღნიშნა მან.

ციტნე გაბაშვილი

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

® — **ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე**

გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ª. პრესის სახლი.

● (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
● psnews27@gmail.com
● www.psnews.ge

საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა პასიურია

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება არ არსებობს?

ქუთაისში „საზოგადოებრივი მომსახურეობებით საქართველოს მოსახლეობის კმაყოფილების დონის კვლევის" შედეგების პრეზენტაცია გაიმართა.

პრეზენტაციაზე წარმოადგინეს უშუალოდ ქალაქისა და რეგიონის მცხოვრებლების წინაშე არსებული პრობლემატიკა და მათი კმაყოფილების დონე საზოგადოებრივი მომსახურეობებით.

კომპანია „ეისითის" წარმომადგენლის **შორენა ჭოხონელიძის** განცხადებით, ჩატარებული კვლევის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა პასიურია და არ მონაწილეობს საზოგადოებრივ პროცესებში. საქართველოს მოსახლეობის 87%-ს ბოლო ერთი წლის მანძილზე არ ჰქონია სოციალური აქტივობის მცდელობა. რაც შეეხება საზოგადოებრივი მომსახურეობებით მათ კმაყოფილებას, კვლევაში სხვადასხვა სფეროსთან მიმართებაში განსხვავებული მაჩვენებლები დაფიქსირდა.

„კვლევამ გვიჩვენა, რომ მოსახლეობის აქტივობა საზოგადოებრივ პროცესებში ძალიან დაბალია. შესაბამისად, ნაკლებად მათი ინფორმირებაც ძალიან დაბალია. ფაქტობრივად, არ არსებობს სამოქალაქო საზოგადოება. გვაქვს სურვილი, საქართველოს მოსახლეობას მაქსიმალურად მივაწოდოთ სრული ინფორმაცია და მოვუწოდოთ, ჩაერთონ მათ ირგვლივ არსებულ პროცესებში," — განაცხადა შორენა ჭოხონელიძემ.

„საზოგადოებრივი მომსახურეობებით საქართველოს მოსახლეობის კმაყოფილების დონის" კვლევა 2013 წელს საქართველოს 11 რეგიონში ჩატარდა. „ეისითის" მკვლევარების მიერ 3400 ზრდასრული მოქალაქე გამოიკითხა. გამოკითხვის შედეგად დადგინდა, როგორ მიეწოდება თითოეული სერვისი საქართველოს მოსახლეობას: რამდენად კმაყოფილია მოსახლეობა მიწოდებული მოსამსახურეობის ხარისხით, რა არის სახელმწიფო და მუნიციპალური მომსახურეობებით უკმაყოფილების ძირითადი მიზეზები, როგორია მოსახლეობის სოციალური აქტივობის ხარისხი, როგორია ადგილობრივი ხელისუფლებისადმი ნდობა და რამდენად კმაყოფილია მოსახლეობა ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობით.

იმერეთში კვლევამ აჩვენა, რომ მოსახლეობის მხოლოდ 41%-სთვის არის ხელმისაწვდომი ნარჩენების გატანის სერვისი, ხოლო საკანალიზაციო სისტემაზე ხელმისაწვდომობა დასახლებების მხოლოდ 40%-ში ფიქსირდება. მოსახლეობის დიდი ნაწილი სასმელი წყლის მიწოდებითაც უკმაყოფილოა.

ასევე უკმაყოფილოა მოსახლეობა შიდა გზების მდგომარეობით, არასაკმარისად მიაჩნიათ შუქნიშნებიც.

რაც შეეხება საგანმანათლებლო დაწესებულებებს, იმერეთის მოსახლეობის მხოლოდ 37%-სთვის არის ხელმისაწვდომი პროფესიული სასწავლებლები.

ზოგადად, ჯანდაცვის სისტემის მუშაობით იმერეთში მოსახლეობის 38% არის კმაყოფილი. მოსახლეობის 80% თავს უსაფრთხოდ გრძნობს მათ დასახლებაში.

იმერეთში გამოკითხული მოსახლეობის 31% აცხადებს, რომ სარგებლობს სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევით.

პრიორიტეტულობის თვალსაზრისით, იმერეთში პირველ ადგილზე სპორტული მოედანი დგას, თუმცა მოსახლეობის ნახევარისთვის ბიბლიოთეკის გამართული მუშაობაც პრიორიტეტულია.

რამდენად გასაკვირი არ უნდა იყოს, იმერეთის მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილი მიიჩნევს ტურიზმს აქტუალურად მათი რაიონებისთვის.

მოსახლეობის მხოლოდ 12% აცხადებს, რომ უფასო იურიდიული მომსახურეობა მათ რაიონში ხელმისაწვდომია.

ასევე გამიკითხულთა 50%-ზე მეტი თვლის, რომ იმერეთში ბუნებრივი წყლის რეზერვუარები, ჰაერი დაა ნიადაგი მათ დასახლებაში დაბინძურებულია.

ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობით იმერეთის მოსახლეობის 58% არის კმაყოფილი, მათდამი ნდობა კი 62% აქვს შენარჩუნებული.

კვლევამ აჩვენა, რომ, ზოგადად, იმერეთის მოსახლეობა ძალიან პასიურია და ნაკლებად მონაწილეობენ სოციალურ აქტივობებში.

ჟანა ჯანელიძე

რატომ ემუქრება ქუთაისის ვიცე-მერი გაფიცულ ბიბლიოთეკარებს?

ბიბლიოთეკის თანამშრომელთა შემცირება ატესტაციის ჩატარების შემდეგ მოხდება?

პირველი გვერდიდან

გასულ კვირას კი ბიბლიოთეკის განყოფილებები: აბონემენტის, დარბაზის, პერიოდიკის, საცავის, კატალოგიზაციის, რესტავრაციის, ბიბლიოგრაფიის, რელიგიის — გაიფიცნენ. გაფიცულთა თქმით, ისინი სამი კვირის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდნენ ქალაქის მერთან შეხვედრას, რის შემდეგაც გამაფრთხილებელი გაფიცვა მოაწყვეს.

ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა შემდეგი განცხადება გაავრცელეს:

„ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის, აბონემენტის, დარბაზის, პერიოდიკის, საცავის, კატალოგიზაციის, რესტავრაციის, ბიბლიოგრაფიის, რელიგიის განყოფილებები ბოდიშს უხდიან მკითხველს, რადგან გაფიცვის გამო წყვეტენ მათ მომსახურეობას.

უკვე წლებია, საჯარო ბიბლიოთეკაში უმძიმესი ვითარებაა, ძალიან მცირეა თანამშრომელთა ხელფასები, მოშლილია საშემსრულებლო დისციპლინა, საბიბლიოთეკო მუშაობაში არაერთი ხარვეზის გამო ფერხდება მკითხველთა სრულყოფილი მომსახურეობა, კარგად გაპიარებული ფასადური პოლიტიკის მიღმა დგას უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი დირექტორის გარკვეული ნაწილი და უკმაყოფილო მკითხველი.

პარლამენტისა და ქუთაისის მთავრობისთვის არ ახალია ბიბლიოთეკის პრობლემები.

დაპირება ბევრია, დახმარება მინიმალური.

დღემდე გაურკვეველია ბიბლიოთეკარების მომავალი. მაშინ, როცა ქუთაისის მასშტაბით ყველგან მიმდინარეობს ბიუჯეტზე მსჯელობა, ბიბლიოთეკის საკითხი საერთოდ არ განიხილება. ადგილობრივი ხელისუფლების პოზიცია, მიუხედავად ათასგვარი დაპირებისა, დღემდე გაუგებარია.

საჯარო ბიბლიოთეკის გაფიცვა არ ნიშნავს მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ გამოსვლას. ჩვენ ადგილობრივ ჩინოვნიკთა გაურკვეველი ქმედებები გვაწუხებს, რომელთაც ნდობის მანდატი აქვთ მინიჭებული მთავრობისა და ხალხისგან.“

ბიბლიოთეკარების გაფიცვასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ ბიბლიოთეკის დირექტორს ნარგიზ ჩოგოვაძეს.

მისი თქმით, გაფიცვის დროს კატალოგიზაციის ერთი სექტორი იყო გაფიცული, მეორე კი მუშაობდა, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მომუშავე განყოფილება არ უერთდება თანამშრომლების პროტესტს ხელფასების გაზრდის მოთხოვნით.

„ჩვენმა ძირითადმა განყოფილებებმა შეაჩერეს მუშაობა, მაგრამ დანარჩენი სექტორი აბსოლუტურად უერთდება ჩვენს მოთხოვნებს. ჩვენ ერთსულოვნები ვართ. ხელფასების პრობლემა ბიბლიოთეკაში მრავალი წელია არსებობს. იყო პერიოდი, როდესაც 34 ლარი ჰქონდათ თანამშრომლებს, თუმცა ახლა ჩვენ ძველ დროში არ ვართ. ბიბლიოთეკა სრული დატვირთვით მუშაობს, მკითხველთა რაოდენობა თვიდან-თვემდე იზრდება, გვაქვს სხვადასხვა ღონისძიებები, კონკურსები, შემოქმედებითი საღამოები, ვაწყობთ შეხვედრებს, ვიძენთ ახალ სახელმძღვანელოებს... ზღვა შრომა ჩავდე თითოეულ თანამშრომელთან ერთად ბიბლიოთეკის ამუშავებისთვის, სიახლეების დამკვიდრებისთვის. გარედან სრულიად განსხვავებულად მოჩანს ყველაფერი. სხვისთვის იოლია, ზერელედ შეაფასოს ის ლომის წილი, რაც ჩვენ მიგვიძღვის აქაურობის შესანარჩუნებლად და პროგრესირებისთვის. ამის დაუნახავობა არ შეიძლება,“ — განაცხადა **ნარგიზ ჩოგოვაძემ.**

მისივე თქმით, ბიბლიოთეკაში 2014 წლის დასაწყისში, დაახლოებით, 65 ლარით გაიზარდა ხელფასები. მაგრამ მანამდე არსებული ხელფასები იმდენად მწირი იყო, რომ მატება ვერ დაეტყო.

„ადრე ვესაუბრე ქალაქის ხელმძღვანელობას ამ საკითხზე, მათ არც კატეგორიული უარი უთქვამთ და არც მატების პირობით არ გამოვუშვივარ უკან. ახლა მიმდინარეობს ბიუჯეტის შედგენა და სწორედ ახლა უნდა იყოს გაწერილი მასში ბიბლიოთეკის ხარჯები.“

ნარგიზ ჩოგოვაძის თქმით, რაც შეეხება ბიბლიოთკის შენობის რეაბილიტაციას, ეს საკითხი უკავე მოგვარებულია და მომავალი წლიდან დაიწყება შენობის როგორც გარემონტება, ასევე იგეგმება ფართის მომატებაც.

ბიბლიოთეკარების გაფიცვას ქალაქის მერის მოადგილე, **ნოდარ მიქიაშვილი** გამოეხმაურა. მისი განცხადებით, ბიბლიოთეკაში ხელფასების გაზრდის საკითხს მას შემდეგ განიხილავენ, რაც დაწესებულებაში რეორგანიზაცია მოხდება.

„ბიბლიოთეკა მხოლოდ ნაწილობრივ არის პარალიზებული, რაც შეეხება ხელფასების ზრდას, 2014 წლის დასაწყისში 25%-ით გაიზარდა ბიბლიოთეკის თანამშრომელთა ხელფასები. კიდევ გაზრდას არ ვგეგმავთ, მას შემდეგ ვიფიქრებთ ხელფასების ზრდაზე, როცა იქ იმდენი თანამშრომელი დარჩება, რამდენიც საჭირო არის,“ — განაცხადა მიქიაშვილმა.

მისი ეს განცხადება სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა მუქარად აღიქვეს. ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ, ნინო ძოწენიძემ, საკუთარი „ფეისბუქის“ გვერდზე ნოდარ მიქიაშვილი მუქარასა და შანტაჟში დაადანაშაულა.

„გთხოვთ ყველას, გულდასმით მოისმინოთ ვიცე-მერის, ნოდარ მიქიაშვილის კომენტარი, რომელიც შეიცავს მუქარისა და შანტაჟის ელემენტებს. ეტყობა, ბატონი ნოდარი ვერ გამოვიდა „ნაცების“ კოშმარული ხანიდან და ვერც ძველი ტერმინოლოგიით საუბარს გადაეჩვია.

„ულტიმატუმის ენა“ და ხალხის დაშანტაჟება „ნაცების“ გამოცდილი მეთოდი იყო. ბიბლიოთეკის თანამშრომლები არ საუბრობენ ულტიმატუმის ენით. პირიქით, მათ მრავალგზის თხოვეს დახმარება მას, თუმცა — უშედეგოდ. ნაცნობმეგობრების საკეთილდღეოდ წაყრუების პოლიტიკა აირჩია და საერთოდ იგნორირება გაუკეთა სისტემას... სიმართლეს და სამართალს ვერ მოერევით. თქვენი ასეთი განცხადებებით მხოლოდ თავი გამოიაშკარავეთ,“ — დაწერა „ფეისბუქის“ გვერდზე ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ **ნინო ძოწენიძემ.**

ბიბლიოთეკის დირექტორი აცხადებს, რომ მერი არ არის ადგილზე და მთავრობის სხვა წარმომადგენლების მოსაზრებას ვერ შეაფასებს. თუმცა ბიბლიოთეკაშიც არის კადრები, რომლებიც შესამცირებელია.

„ჩამოვა მერი, დავსხდებით და დავილაპარაკებთ, რაც შეეხება კადრების შემცირებას, ეს საკითხი ურთიერთშეთანხმებით უნდა მოხდეს. ზედმეტი კადრი ყველგან არის, და შეიძლება არის შესამცირებელი, მაგრამ ამას მარტო ერთი მხარე ვერ გადაწყვეტს,“ — განაცხადა ბიბლიოთეკის დირექტორმა.

მიმდინარე კვირას გავრცელდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოს ნარგიზ ჩოგოვა)ეს გაფიცულ თანამშრომელთა ე.წ. „შავი სიის“ გადაცემა უნდოდა მიქიაშვილისათვის, თუმცა თანამშრომლების ჩარევის შემდეგ უკან დაიხია. ამ ფაქტს არ ადასტურებს თავად ბიბლიოთეკის დირექტორი. მისი თქმით, ეს სრული სიცრუეა. მას არაფერში არ სჭირდება „შავი სიები“, მისი ყველა თანამშრომელი იქვე ჰყავს და ნებისმიერ დროს შეუძლია მათთან საუბარი, ამისთვის რაიმე სიების შედგენა არ სჭირდება.

ამჟამად ბიბლიოთეკის რამდენიმე განყოფილება გაჩერებულია, ისინი მერთან შეხვედრას ელოდებიან.

ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი იმ შემთხვევაში, თუ მერთან საუბრის შემდეგაც არ გაეზრდებათ ხელფასები, არ აკეთებს პროგნოზს, გაგრძელდება თუ არა მათი პროტესტი.

მერის პოზიცია უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი. როგორც ვარაუდობენ, შესაძლოა, მერიამ ბიბლიოთეკის თანამშრომლებს სავალდებულო ატესტაციის გავლა მოსთხოვოს და ამის შემდეგ გაუზარდოს ხელფასი.

ჟანა ჯანელიძე

რა პრინციპით მოხდება სოციალური დახმარების გაცემა

სოციალური დახმარების სააგენტოში შემუშავდა დახმარების მიღების ახალი მეთოდოლოგია. ამ მეთოდოლოგიით სოციალური აგენტის სუბიექტური შეფასება და საყოფაცხოვრებო საგნები (მაცივარი, სარეცხი მანქანა, გაზქურა, წყლის გამათბობელი ავზი, გაზის წყლის გამათბობელი, გაზის გამათბობელი, კონდიციონერი, ტელევიზორი, თამბაქოს მოხმარება) აღარ იქონიებენ გავლენას ახალი ქულების განსაზღვრაში.

ძველი მეთოდოლოგიით ბენეფიციარები თანაბარ ფულად დახმარებას იღებდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი სარეიტინგო ქულა 57 000-ზე ნაკლები იყო.

სოციალური მომსახურეობის სააგენტოს ინფორმაციით, მოხდა სარეიტინგო ქულების გრადაცია. 30 000 ქულის ქვემოთ ოჯახის ნებისმიერი წევრი მიიღებს 60 ლარს, განსხვავებით ძველი ფორმულირებისგან, რომლის მიხედვითაც 57 000 სარეიტინგო ქულის ქვემოთ ოჯახის პირველი წევრი იღებდა 60 ლარს, ხოლო ყოველი შემდგომი წევრი 48 ლარს.

30 000-დან 57 000 ქულამდე ოჯახის ნებისმიერი წევრი მიიღებს 50 ლარს და 10 ლარს ბავშვის დანამატს, 57 000-დან 60 000 ქულამდე ოჯახის ნებისმიერი წევრი მიიღებს 40 ლარს და 10 ლარს ბავშვის დანამატს, 60000-65 000 ქულამდე ოჯახის ნებისმიერი წევრი მიიღებს 30 ლარს და 10 ლარს ბავშვის დანამატს, ხოლო 65 000-100 000 ქულამდე ოჯახი მიიღებს მხოლოდ ბავშვის დანამატს 10 ლარს.

ახალი პროექტით, როგორც თავად სააგენტოში განმარტავენ, ოჯახებს, რომლებსაც 30 000 ნაკლები სარეიტინგო ქულა ექნებათ, სოციალური დახმარება გაეზრდებათ საშუალოდ 331 ლარამდე ბავშვის დანამატის გარეშე, 30 000-დან 57 000 ქულამდე — საშუალოდ 207 ლარამდე, 57000-დან 60 000-მდე — 163 ლარამდე, ხოლო 60 000-დან 65 000-მდე — 111 ლარამდე. ამ ცვლილების შედეგად 38 ათასი ოჯახით მეტი იქნება მოცული სოციალური დახმარებით.

ახალ რეგულაციასთან დაკავშირებით არაფერს ამბობენ სოციალური მომსახურეობის სააგენტოს ქუთაისის ფილიალში. ხელმძღვანელის ხათუნა ცანავას თქმით, ახალი მეთოდოლოგია ჯერ არ არის დამტკიცებული და რეგიონალურ წარმომადგენლობას არ აქვს ამჟამად უფლება რაიმე ცვლილებებზე ისაუბროს.

„ვინაიდან ცვლილებები ჯერ ოფიციალურად არ არის დამტკიცებული, მე ამ საკითხში ვერ ვიქნები კომპეტენტური და ვერანაირ პასუხს ვერ გაგცემთ. როდესაც ოფიციალურ სახეს მიიღებს კანონი, შემდეგ ვისაუბროთ. ახლა კი, ჩემის მხრივ, უფლებამოსილების გადაჭარბება იქნება რაიმეს თქმა,“ — განაცხადა **ხათუნა ცანავამ** ჩვენთან საუბარში.

შეგახსენებთ, რომ საქართველოში 450 ათასი მოქალაქე არის სოციალურად დაუცველის სტატუსის მატარებელი.

ჟანა ჯანელიძე

„ეკონომიკა წინ მიდისო და ეს არის წინსვლა?!"

რა მოუვიდა ლარს?

ბოლო მონაცემებით ლარის კურსი დოლართან მიმართებაში 1.8984-ს შეადგენს.

ლარის კურსის ვარდნა მიმდინარე წლის 18 ნოემბერს დაიწყო, მაშინ დოლართან შედარებით ეროვნული ვალუტის კურსი დოლართან მიმართებაში 1,76-ით განისაზღვრებოდა.

აღსანიშნავია, რომ ლარი მყარდება ევროსთან მიმართებაში. კერძოდ, ბოლო ვაჭრობის შედეგად, 4 დეკემბრის ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა ევროსთან მიმართებაში 2.2950 პუნქტი შეადგინა. 3 დეკემბერთან შედარებით კი ეროვნული ვალუტა 0.0190 პუნქტით გამყარდა.

2013 წლის 4 დეკემბერს ლარის გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებაში 1.6967 პუნქტს შეადგენდა, ხოლო ევროსთან მიმართებაში 2.2987 პუნქტს.

სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, ბოლო 10 წლის განმავლობაში, დოლართან მიმართებაში ლარის კურსი შემდეგ ცვლილებებს განიცდიდა: 2004 წლიდან 2008 წლამდე ლარი მყარდებოდა. 2008 წლის ომის შემდეგ კი კურსი დაეცა და ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 2010 წლის ივნისში დაფიქსირდა — 1.8875 ლარი. ლარმა 2010 წლის ბოლოდან ისევ გამყარება დაიწყო და 2013 წლამდე კურსი მეტ-ნაკლებად სტაბილური იყო. 2014 წლის ნოემბერ-დეკემბერში ლარი ბოლო 4 წლის განმავლობაში ყველაზე მეტად გაუფასურდა. ნიშნულმა უკვე დღეს 1 დოლარზე 1.8604 ლარი შეადგინა.

აშკარაა, რომ 2010 წლის 10 ივნისის შემდეგ ეროვნული ვალუტა ასეთ მძიმე დღეში არ ყოფილა. ეს ის პერიოდია, როდესაც დოლარის ღირებულებამ 1,88 ლარს გადააბიჯა. 2011 წლის თებერვალში ლარის კურსმა „ფსიქოლოგიურ ზღვარს" კიდევ ერთხელ მიაღწია. მას შემდეგ ეროვნული ვალუტის გამყარება დაიწყო და დღემდე 1,8-ის ნიშნული არ გადაულახავს. საერთოდ კი, ეს არის ყველაზე მაღალი კურსი 2010 წლის 23 სექტემბრის შემდეგ.

2013 წლის ბოლოს ლარის გაუფასურება ისევ დაიწყო, თუმცა 1,79-ის მიდამოებში შეჩერდა. შარშან ეროვნული ვალუტის დაცემა ეკონომიკის უკუსვლას დაბრალდა. წელს კი, როგორც მთავრობა იჩემებს, ეკონომიკა წინ მიიწევს, თუმცა ეროვნულ ბანკში ლარის გაუფასურების პრობლემას ვერ ხედავენ და ლარის ვარდნას ისევ ამ ფაქტორით ხსნიან: „ლარის კურსი იქნება ისეთი, როგორსაც განსაზღვრავს ეკონომიკა."

ამ საკითხთან დაკავშირებით პასუხი არ აქვს ფინანსთა მინისტრს, ნოდარ ხადურის მტკიცებით, ლარის კურსის რყევასთან დაკავშირებით შეკითხვები მისი კომპეტენციის ფარგლებს სცდება.

ამის შესახებ ხადურმა ჟურნალისტებს ფინანსთა სამინისტროს ორწლიანი ანგარიშის წარდგენის შემდეგ განუცხადა. „მე ერთი შემიძლია გითხრათ, ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებს მე ვერ გავცდები. გაცვლით კურსზე ბიუჯეტის ზეგავლენა არის ნულის ტოლი," — განაცხადა ხადურმა. კითხვაზე — ნიშნავს თუ არა ეს, რომ იხსნის პასუხიმგებლობას ლარის კურსის რყევებზე — ხადურმა ჟურნალისტებს ურჩია, კანონმდებლობა წაიკითხონ. ამასთან, ხადური არ აკონკრეტებს, ფიქრობს თუ არა, რომ ეროვნულმა ბანკმა დაუშვა შეცდომა. „ფინანსთა მინისტრს არ აქვს კომპეტენცია, შეაფასოს სხვა უწყებების საქმიანობა" — განაცხადა ნოდარ ხადურმა და საკითხზე დამატებით კითხვებზე პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა.

ოპოზიცია კი მიიჩნევს, რომ ლარის კურსის გაუფასურება მთავრობას აწყობს, რათა მომავალ წლის სოციალური ვალდებულებების შესრულება უფრო იაფი დაუჯდეთ.

როგორ შეფასებას აძლევს მოსახლეობა ლარის ირგვლივ ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს? აი, რამდენიმე მათგანის მოსაზრება:

გაიოზ მამარდაშვილი: „ხადურმა თუ არა, აბა, ვინ უნდა იცოდეს ლარის კურსის ცვალებადობა? ჭამის მეტი რომ არ ახსოვს, არაფერი სჯობს საქმე აკეთოს. ეკონომიკა წინ მიდისო და ეს არის წინსვლა?"

მირანდა ნავერიანი: „ცოტა ხანიც და სულ დააქცევენ ესენი ამ ქვეყანას. ფინანსთა მინისტრმა როგორ არ უნდა იცოდეს, რა ხდება მის სფეროში. თვითონ რა ენაღვლება, აწყობილი აქვს საქმე და გაჭირვებული კაცისთვის კი არ არსებობს არავინ."

ნუგზარ კვირიკაშვილი: „მთავრობა იმას აკეთებს, რაც მათ აწყობთ, ამაშიც იქნება მათი ხელი გარეული. ხადურს რომ დაუღია პირი და გაიძახის, სხვის საქმეში ვერ ჩავერევიო, ესაა მთავრობა? აბა, ვის უნდა ვკითხოთ? ყველა თავს არიდებს პასუხებს. შეშინებული ხალხი მაინც დაამშვიდოს და უთხრას, რომ სერიოზული არაფერი მოხდება, ან პირიქით, შეაშინოს მაინც, რომ — აბა, ხალხნო, ლარი გაუფასურდა და ეს ამის და ამის ბრალიაო... არა! არც არაფერს არ აკეთებს და არც ამბობს, მარტო ხადურის ჭამით კი ვერ გავფრინდებით."

ნინელი დიასამიძე: „ნოდარ ხადურმა რომ მისი საქმე იცოდეს და ქვეყანაზე ფიქრობდეს, პასუხი მაინც ექნებოდა ხალხის კითხვებზე. არაფრის გამკეთებელი არ არის, სულ უკანუკან მიდის საქართველო ამ უნიათო ხელისუფლების და მისი გაბღენძილი ჩინოვნიკების ხელში. არ არის გაჭირვებული ხალხის საშველი."

ზაურ ხვიჩია: „როდემდე უნდა ითმინოს ხალხმა ამათ ნერვებზე თამაში? ნუთუ, ჩვენმა ქვეყანამ არ უნდა ამოისუნთქოს? ხადურის იმედად რომ დატოვეს საქართველოს ეკონომიკა, აი, მაშინ დაიქცა ჩვენი დღე და მოსწრება. ლარის გაუფასურებაში რა ამათი წვლილი არ არის? ვერავინ ვერ დამაჯერებს ამაში. ყველაფერი ვიღაცის ინტერესებს ემსახურება და, რა თქმა უნდა, ჯიბეების გავსებას. ეს სულ ასე იყო და იქნება კიდეც."

მალხაზ ფუტკარაძე: „ხელისუფლებაში ახალი კადრი რომ მოვიდოდა, ხალხი წუხდა: რა გააძღებს ამათ, მშიერი მოვიდა მთავრობაშიო, ეს მთავრობა თითქმის დოლარებით შემოგვიცუცქდა და „ვაის გავეყარეთ და უის შევეყარეთო" დაგვემართა. ჯერ კიდევ სად ვართ. ამათ იმედზე ქაღალდის ლარი კი არა, ადამიანობა გაუფასურდა."

ჟანა ჯანელიძე

ფაქტები და მითები ევროკავშირის შესახებ

ფინანსთა მინისტრის განცხადება, თითქოს კანონპროექტი თამბაქოს აქციზის გაზრდასთან დაკავშირებით ევროკავშირთან 10 წლის წინ აღებული ვალდებულებაა, მცდარია

ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, 2015 წლის 1 იანვრიდან თამბაქოზე აქციზის გადასახადი ძვირდება. ერთ კოლოფ ფილტრიან სიგარეტზე აქციზის გადასახადი 15 თეთრით, ხოლო უფილტრო სიგარეტზე 5 თეთრით იზრდება. გარდა ამისა, კანონპროექტით 2015 წლის 1 ივლისიდან ე.წ. „შერეული სისტემა" შემოდის. აღნიშნული მექანიზმის მიხედვით, ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტებისათვის (20 ღერი) აქციზის განაკვეთი საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული აქციზის განაკვეთის და ამ საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასის 5%-ის ჯამი იქნება.

აღსანიშნავია, რომ 2013 წელს ერთ კოლოფ (20 ღერი) ადგილობრივი წარმოების და იმპორტირებულ ფილტრიან სიგარეტზე აქციზი 60 თეთრიდან 75 თეთრამდე, ხოლო უფილტრო სიგარეტზე 15 თეთრიდან 20 თეთრამდე გაიზარდა. აქციზის გაზრდის შედეგად სიგარეტზე ფასებმა მოიმატა.

აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა ევროკავშირთან აღებულ ვალდებულებებს დაუკავშირა. კერძოდ, მან განაცხადა: „საქართველოში თამბაქოს საკითხი დაბალი გადასახადით გამოირჩევა. ჩვენ ევროკავშირთან 10 წლის წინ გვაქვს აღებული ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებს, რომ საქართველოში აქციზი თანდათან უნდა დაუახლოვდეს ევროპულს. მომავალ წელს თამბაქოზე აქციზის გაზრდა 15 თეთრით იგეგმება. მთავარია, რომ ეს კეთდება მეზობლებთან ერთად სინქრონულად, რადგან საქართველო კონტრაბანდისტული ადგილი არ გახდეს."

რამდენიმე მცდელობის მიუხედავად, ფინანსთა სამინისტროში ვერ განგვიმარტეს, 10 წლის წინ ევროკავშირთან დადებულ რომელ ხელშეკრულებაზე საუბრობდა ნოდარ ხადური. ამასთან ერთად, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლების განცხადებით, თამბაქოს აქციზის გადასახადის ზრდას საქართველოს ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმება ავალდებულებს. კერძოდ, შეთანხმების 283-ე მუხლში ვკითხულობთ: მხარეები გააძლიერებენ თავიანთ თანამშრომლობას და განახორციელებენ პოლიტიკის ჰარმონიზაციას აქციზურ საქონელთან დაკავშირებული თაღლითობისა და კონტრაბანდის წინააღმდეგ საპასუხო ქმედებების განსახორციელებლად და მის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს თანამშრომლობა მოიცავს, მათ შორის, თამბაქოს პროდუქციაზე აქციზის ტარიფების, შეძლებისდაგვარად, ეტაპობრივ დაახლოებას, რეგიონულ კონტექსტში შესაძლებლობების გათვალისწინებით და „თამბაქოს კონტროლის შესახებ", ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ჩარჩო კონვენციის შესაბამისად. ამ მიზნით, მხარეები შეეცდებიან გააძლიერონ თავიანთი თანამშრომლობა რეგიონული კონტექსტის ფარგლებში. შეთანხმების 22-ე დანართში ასევე განმარტებულია, რა ვადებში და რომელი დირექტივები უნდა შეასრულოს საქართველომ. ასოცირების ხელშეკრულებაში საუბარია თამბაქოს აქციზის სტრუქტურისადა განაკვეთის წესის ეტაპობრივი, ასოცირების ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 5-წლიან პერიოდში დაახლოების შესახებ. ხოლო ის დირექტივები, რომლებიც აქციზის გადასახადის ოდენობის ზრდას ეხება, საქართველოსთვის ამ ეტაპზე სავალდებულო არ არის. ასოცირების შეთანხმების ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში საქართველო-ევროკავშირის საბჭო კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლისა და საქართველოს საგადასახადო შემოსავლების დაცვის საჭიროებებიდან გამომდინარე აქციზის ოდენობის გაძვირების გრაფიკს წარადგენს. შესაბამისად, ამ ეტაპზე თამბაქოს აქციზის გაძვირების სამართლებრივი ვალდებულება არ არსებობს. აღსანიშნავია რომ, ევროკავშირის საბჭოს მიერშემუშავებული დირექტივების მეათე თავში საუბარია იმ წევრი ქვეყნების შესახებ, რომელთა შიდა ბაზრის თავისებურებების გამო გამონაკლისი დაუშვეს და 2017 წლის 31 დეკემბრამდე ახალ რეგულაციებზე ეტაპობრივადგადასვლის საშუალება მისცეს. შესაბამისად, ევროკავშირი საქართველოსგან არ მოითხოვს ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მყისიერად შესრულებას, სწორედ ამიტომ კანონმდებლობის დაახლოებისათვის 5-წლიან ვადას გამოჰყოფს, ხოლო აქციზის გადასახადთან დაკავშირებით, კი სპეციალური გეგმის შემუშავებას ითვალისწინებს. ე.წ. „შერეულ სისტემის" შემოღება საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირთან ჰარმონიზაციას რეგიონული სტატუს-ქვოს, ბაზარზე არსებული მოთამაშეების ინტერესებისა და საგადასახადო რისკების გათვალისწინებით ისახავს მიზნად.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში თამბაქოს აქციზზე არსებული დაბალი გადასახადი მნიშვნელოვნად ზრდის საქართველოში კონტრაბანდული სიგარეტის მოხვედრის საფრთხეს. შედარებისთვის სომხეთში თამბაქოს აქციზის გადასახადი იმპორტირებულ ფილტრიან 1000 ღერ სიგარეტზე 34 ლარია, ხოლო ადგილობრივი წარმოების იმავე რაოდენობის სიგარეტზე კი — 29 ლარი. რუსეთში 2015 წლიდან 1000 ღერ ფილტრიან სიგარეტზე გადასახადი დაახლოებით 37 ლარი იქნება, თურქეთში 1000 ღერ სიგარეტზეგადასახადი 109 ლარს შეადგენს, ხოლო აზერბაიჯანის საგადასახადო კოდექსის მიხედვით ყველა სახეობის თამბაქო მისი საშუალო ღირებულების 12,5 პროცენტით იბეგრება. საქართველო ამ დროისათვის რეგიონში აქციზის ყველაზე დაბალი გადასახადით არ გამოირჩევა, რადგან 1000 ღერი ფილტრიან სიგარეტზე გადასახადი 37,5 ლარია, 2015 წლის ეს მაჩვენებელი 45 ლარამდე გაიზრდება, ხოლო 1 ივლისიდან ე.წ. „შერეული სისტემის" ამოქმედება თამბაქოს აქციზისა და შესაბამისად სიგარეტის ფასის კიდევ უფრო მეტად გაზრდას გამოიწვევს.

აღსანიშნავია, რომ 2015 წელს, 201 წელთან შედარებით, მთავრობა აქციზის გადასახადის სახით, 148.4 მილიონი ლარით მეტი შემოსავლის მიღებას გეგმავს.

eurocommunicator.ge

„თანამედროვე ვითარებამ მწერალი „კლოუნად“ აქცია...“

ცირა ყურაშვილი: „ლიტკონკურსი პროკრუსტეს სარეცელია“

მწერალმა ცირა ყურაშვილმა ამ ცოტა ხნის წინ პოეზიის საერთაშორისო კონკურსში (PoemsClub.com) გამარჯვება მოიპოვა, გთავაზობთ ინტერვიუს მასთან.

ცირა ყურაშვილი

— ქალბატონო ცირა, ჩვენი მკითხველი დროდადრო ეცნობა ამბებს თქვენი წარმატების შესახებ. კონკურსი, რომელშიც წარმატება მოიპოვეთ, რა დონისაა, ვინ აწყობს, რამდენი წელია და რა კრიტერიუმით აფასებენ?

— საერთაშორისო კონკურსია, PoemsClub.com ჰქვია, რამდენიმე წელია ტარდება და გამარჯვებულ ნაწარმოებებს, ავტორებს ყოველთვიურად გამოავლენს. ლიტერატურულ სააგენტო „უსტარი“-ს ხელშეწყობით (ქალბატონი თამარ ნაჭყებია) დავუკავშირდი, ინგლისურად ნათარგმნი ორი ლექსი: ჯერ „ქვა“ და შემდეგ „მამა“ (მთარგმნელი ელისო ფანცხავა) განვათავსეთ ამ საიტზე. შეფასება მკითხველთა მიერ მოწონების ღილაკებით ხდებოდა, პირველი ლექსი მოწინავე პოზიციებზე იყო, მეორემ კი სექტემბრის თვეში გაიმარჯვა.

— რატომ გადაწყვიტეთ ამ კონკურსში მონაწილეობა და რატომ შეარჩიეთ, მაინცდამაინც ეს ლექსი? რა მიზანი და მოლოდინი გქონდათ?

— დამაინტერესა, თუ როგორ რეაგირებენ უცხო ქვეყნის მკითხველები ჩვენს მიერ არჩეულ თემებზე, ასევე, ლექსის თარგმანსაც როგორ მიიღებდნენ. პირველად სამოქალაქო თემატიკიდან წარვადგინე ლექსი, შემდეგ რელიგიური... არ მეგონა, თუ გავიმარჯვებდი, მიჩვეული ვარ ჟიურის მიკერძოებულობას, ან ისეთი დონის არაკომპეტენტურობას, როცა საკონკურსო ნაწარმოების ბედს შემთხვევითობა წყვეტს. თუმც, ჟიურის არაკომპეტენტურობა უფრო ნაკლებ ცოდვად მიმაჩნია, ვიდრე ლიტერატურის გემოვნებიანი ექსპერტების მიერ ნაღდი ლიტერატურის უგულვებელყოფა და ცარიელა ეპატაჟის მქონე ტექსტების მხარდაჭერა, ამით კი ქართული ლიტერატურის კალაპოტის ნელინელ შეცვლა-დაკანონება.

— იქნებ, უფრო დაწვრილებითაც ლიტერატურულ კონკურსებისადმი თქვენი დამოკიდებულების შესახებ.

— ბოლო რამდენიმე წელია, რაც ამ ამბავში ჩავერთე, ადრე ამის სურვილი არ მქონია, რადგან მაშინ გულუბრყვილოდ მწამდა, რომ ჩემი შესაძლებლობის დამტკიცება არ მჭირდებოდა და ლიტერატურულ გარემოში ისედაც ცხადად ჩანდა ყველაფერი... 2012 წლის ბათუმის „ლექსების გამოფენის“ გამარჯვებული ვარ და ამავე წლის ლიტერატურულ „საბას“ ნომინანტი პროზაული ნაწარმოებების კრებულისთვის — „ხიზნები კომანის მონასტერთან“ (გამომცემლობა „ინტელექტი“). ამ ბოლო დროს ქუთაისში გამართულ კონკურსშიც ვმონაწილეობდი და მთავარი პრიზი დავიმსახურე. ლიტერატურული ჟურნალები წესიერ ჰონორარს რომ გასცემდნენ, ან შემოქმედებითი შრომისთვის სხვა სახის ანაზღაურება მქონდეს, ალბათ, არ მივიღებდი მონაწილეობას, რადგან ჩვენთან ჩატარებული ლიტერატურული კონკურსები ზღუდავენ მწერლის მოძრაობას, თამაშის წესებს უდგენენ, ჩარჩოში აქცევენ მის ფანტაზიას, ეგრეთ წოდებულ „ მომგებიან თემებზე“ ფოკუსირებით მზერა მარადიული თემებიდან კონიუნქტურაზე გადააქვთ... შეიძლება სხვა მწერლები კონკურსანტის ამპლუას სხვაგვარადაც განიცდიდნენ, მასტიმულირებელ და პროდუქტიულობის მომტანად თვლიდნენ, მე კი მათში მონაწილეობისას სულ მაქვს განცდა, რომ უფრო მეტს ვკარგავ, ვიდრე ვიძენ. ზოგიერთი ჩემი მეგობარიც, ან ის მწერლები, რომელთა შემოქმედებასაც ვაფასებ უკვე გამოეთიშნენ ლიტ. კონკურსებს და პირობასაც დებენ, არ მიიღებენ მასში მონაწილეობას, სანამ ლიტმცოდნეთა მიერ ლიტერატურული ტექსტების სათანადო შეფასება-დაფასება არ აღსდგება. მეც სიამოვნებით დავიხევდი უკან, მაგრამ ვიცი, რომ მკითხველი არ გამომედევნება, უმკითხველო მწერალი და უჯარისკაცო გენერალი კი ერთი და იგივეა.

— კიდევ რა უსიამოვნებები ახლავს კონკურსებს?

— არის კონკურსები, სადაც ლიტერატურული ნაწარმოების შეფასება მთლიანად მკითხველის გემოვნებას არის მინდობილი და ჟიურის როლი ფასადურია. სხვა ქვეყანაში ამან შეიძლება გაამართლოს, რადგან იქ მართლა მკითხველია შემფასებელი, ჩვენთან, კი, როცა საპრიზო ადგილის მოსაპოვებლად, რაც ჩვენს პირობებში კარგ ფულად თანხასაც გულისხმობს, დედაბუდიანად ერთვება ყველა, მკითხველიც და არამკითხველიც, რა ობიექტურ შეფასებაზე შეიძლება იყოს საუბარი?! ეს უფრო აზარტული თამაშია, სოციალური ქსელით წამოწყებული, სახელწოდებით — „ლაიკების შეგროვება“. ამიტომ მაქვს განცდა, რომ თანამედროვე ვითარებამ მწერალი „კლოუნად“ აქცია. ამას ყველაზე უარესი შემთხვევა მირჩევნია, ისიც კი, როცა ჟიური არაკომპეტენტურია, რადგან თუნდაც არაკომპეტენტური ჟიური პასუხისმგებლობას იღებს ნაწარმოების შეფასებაზე, სოციალური ქსელების დახმარებით ჩატარებული შეფასებით კი ვინ იღებს პასუხისმგებლობას? ხომ ყველასთვის ისედაც ცხადია, რომ მოწონების ღილაკებით მოპოვებული რაოდენობა ვერ შეესატყვისება მკითხველთა რეალურ რაოდენობას და ხშირად უფრო პიროვნული სიმპათიის დასტურია, ან უბრალოდ იძულებაა, ვიდრე ნაწარმოებთან დაკავშირებული ემოციური გამოძახილი...

ის, რომ ჯერჯერობით არ არსებობს სხვა, უფრო სწრაფი და ეფექტური საშუალება მკითხველის უშუალო ემოციის გამოვლენისა, ვიდრე სოციალური ქსელია, სულ სხვა საკითხია.

ერთი სიტყვით, ჩვენში ჩატარებული კონკურსები ძირითადად მაინც პროკრუსტეს სარეცელს ჰგვანან, ტანმაღალ „მგზავრს“ ამოკლებენ, დაბალს ჭიმავენ. მერე პრესა, რადიო-ტელევიზია არეკლამებს ამ „ტანდაბალს“ და ამის შემდეგ ხელმოკლე, თუმც გამოუცდელ მკითხველსაც კი არ ენანება მის შესაძენად ჯიბიდან თანხის ამოღება. ეს ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების ყველაზე ცუდი ვარიანტია, თუმც, ნიშანდობლივი. ვის გაამტყუნებ, საბაზრო ეკონომიკის მგლურ გარემოში გვიწევს ცხოვრება.

— მაინც რას ჰმატებს მწერალს კონკურსებში მონაწილეობა და წარმატება?

— კონკურსი გამარჯვებულ მწერალს ჰმატებს მკითხველებს და ცოტაოდენ კაპიკებს, რომ გაძლოს და თავისი საქმე როგორღაც წინ წაიყვანოს. მწერალიც მკითხველია, ისიც ლიტერატურის სხვა მკითხველივით ბუნებით ესთეტია, მას არ შურს, როცა სხვისი ნაწარმოები დამსახურებულად იმარჯვებს, პირიქით უხარია, რადგან სამართლიანობის განცდა, ესთეტური სიამოვნება მხოლოდ „საღვთო შურის“ მაგვარ გრძნობას აღძრავს მასში, ეს კი წარმატების საწინდარია. მაგრამ, თუ კონკურსმა დაუმსახურებლად გადაასკუპა წინ ინფანტილური, ეპატაჟური ნაწარმოები, წიგნი, მაშინ გაღიზიანებასაც იწვევს და შეიძლება, რაღაც პერიოდი მწერალი საერთოდ ამოაგდოს შემოქმედებითი კალაპოტიდან, როგორც ასპარეზდახურული. მაგრამ ყველაზე ცუდი ამგვარი ნაწარმოების, წიგნის წინ წახტუნებაში (რამაც უკვე მყარი კალაპოტი ჩვენს თვალწინ შეიძინა) ის არის, რომ მკითხველი თაობების მიერ ათვლა-სწორება, გამოცდილების ათვისება სწორედ ასეთ მიმართულებაზე, ასეთ ნაწარმოებებზე ხდება. ახალგაზრდა, ან გამოუცდელი მკითხველი უკრიტიკოდ მიიჩნევს — რახან კონკურსებზე რომელიმე ნაწარმოები გამოარჩიეს, გამარჯვება არგუნეს წილად, რაკი ტელევიზიიდან და გაზეთებიდანაც იგივე ესმის, ესე იგი ფასეულიცაა... ეს ყველაფერი კი ლიტერატურის კანონზომიერ განვითარებას აფერხებს და როგორც ზემოთაც ვთქვი, მისთვის არაბუნებრივ კალაპოტში გადაჰყავს.

— რა პრიზი დაიმსახურეთ კონკურსზე?

— თანხა მცირეა, მაგრამ ის 5-ჯერ და მეტადაც აღემატება ჩვენს ლიტერატურულ ჟურნალებში დაბეჭდილ ამავე მოცულობის ლექსის ჰონორარს. ამ კონკურსს ასეთი წესი აქვს: თუ გამარჯვებული ავტორი რეკვიზიტებს სათანადო ვადაში არ მიაწოდებ, მაშინ საპრიზო ხარისხი შეგინარჩუნდება, მაგრამ თანხა ამავე კონკურსის სხვა წარმატებულ მონაწილეს გადაეცემა. მაილის გაგზავნა დამავიწყდა და ვიცოდი, რომ თანხა სხვას გადაეცა. მაგრამ ამ რამდენიმე დღის წინ პოეტმა რობერტ მესხმა, რომელიც ჩემთან ერთად მონაწილეობდა ამ კონკურსში და მეორე ადგილი დაიმსახურა, მომწერა, რომ თანხა მას ჩაურიცხეს, მან, კი ჩემს ანგარიშზე გამოუშვა. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, ჩვენს ღატაკ ქვეყანაში, სადაც ბანკები მტრად ექცნენ მოსახლეობას, მმართველი წრეების ბევრი წარმომადგენელი კი გაზრდილი დანამატის სახით ფულის სასწრაფო „მობილიზებას“ ახდენს საკუთარ ჯიბეში, პოეტი ინარჩუნებს უმთავრეს ფასეულობებს.

— რა სიახლეებია თქვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში და მოკლედ, სამომავლო გეგმებზე...

— მომზადებული მაქვს წერილები, ინტერვიუები და ჩანაწერები ერთ წიგნად, მალე მას გამომცემლობა „ინტელექტი“ გამოსცემს. ასევე, მოთხრობების კრებული სათაურით — „ჟამსა თამაშობისასა“, წესით, მისი გამოცემაც არ უნდა დაგვიანდეს. ვაპირებ ისეთ ახალ ჟანრში მუშაობას, რომელსაც ადრე არ გავეკარებოდი. ვნახოთ, რა იქნება.

მამა

მზე გვანდე,
არა, ჯერ მზე გაგვანდე...
და შარავანდი...
მერე მზე გვანდე და დაგვითმე მზე
და უცაბედად ლეღვის ფოთლებზე
თბილი ჩრდილები დასხდნენ
მიწურთან.
მამა, მას შემდეგ ველი თმებზე
იმ თბილ ხელისგულს...
მამა, ჩემს თმებზე მზე მიიწურა.
როგორ დაგკარგეთ,
სამაგიეროდ
თორმეტი ღრმული ვნახეთ
შენს ხატზე,
ჩვენ-ჩვენს ხატში კი ასთოთხმეტი
ნივთიერება
და დაგვავიწყდა სიტყვა „ჩვენთანა“.
მზეში ჰყვაოდა ეკლის ყვავილი,
და მე მიყვარდა ეკლის ყვავილი,
ეკლის ყვავილის სახლში შეტანა.
გადაგვავიწყდა არტახები.
შენს ჟღალ წვერებზე
იცინოდნენ მშენებლები და შენობები,
თურმე ვისხედით იმ ბუდეებში
როგორც ბარტყები,
ვისხედით, როგორც შენი ობლები.
ჩვენ აგვეხილა თვალი ქვა-ღორღში
და ნანგრევებში...
ჩამოდგა კიდეც რუხი ბურანი,
რომ ვარსკვლავების ღრმა თვალებში
ამოგვეკითხა
კაცთა კვლები და მიწისძვრანი.
მამა, გვაკმარე ეს ჯოჯოხეთი,
ისედაც მიდის ქარავანი
ბნელი ქვესკნელის,
ჩვენ გადაგვცილდა შარავანდი,
ჩვენ ვართ წაშლილი..
ჩვენ ვართ წაშლილი ფრესკები, მამა!

FATHER

Father,
Entrust us with the Sun
No ,first confide the Sun to us…
…And the halo…
Then….entrust the Sun to us
Let us have the Sun
And all of a sudden,
warm shadows settle
on the fig leaves
next to the mud- hut.
Father, since then
I've been longing for the touch
of a warm palm on my hair ..
Father,the Sun has set on my hair.
How come we lost you
and instead
We have found twelve pits
on your icon
and one hundred and fourteen
matters,
in ours ,
And never remembered the words
" be with us".
The thorn flower was blooming in
the sun
and I loved the flower of thorn.
And I loved bringing it home.
We forgot the swaddles .
The builders and the stones
laughed at your red beard,
It turned out,
We sat in those nests as fledglings,
we sat there as your orphans ,
our eyes opened to the world
amongst stones and rabble
and ruins ,
and the grey mist settled all over
so that we should read
in the deep eyes of the stars
the stories of murders and earth-
quakes
Father, enough of this hell
The caravan of darkness still rolls on
Our halo is growing pale
We are the faded frescoes.
we are the faded frescoes,
Father!

ორგანიზაცია PIN-ის დახმარებით სოციალური სტატუსის მქონე ახალგაზრდებმა საკუთარი ბიზნესის აწყობა შეძლეს

არაკომერციული ორგანიზაცია People in Need (PIN), ჩეხური განვითარების სააგენტოს თანადგომით, 2012 წლის მაისიდან 2014 წლის დეკემბრის ჩათვლით სოციალური მხარდაჭერის პროექტს ახორციელებს.

ორგანიზაციის მხარდაჭერით, სოციალური სტატუსის მქონე ახალგაზრდებისთვის პროფესიის შემსწავლელი უფასო კურსები მოეწყო. საკუთარი საქმიანობის დასაწყებად საჭირო ინვენტარის შესაძენად კი მცირე საგრანტო დაფინანსებაც მიიღეს.

პროექტი ხორციელდება ქუთაისში, ტყიბულსა და წყალტუბოში. პირდაპირ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს 15-დან 23 წლამდე ახალგაზრდები ეკონომიურად შეჭირვებული ოჯახებიდან და სოციალური მომსახურებით დაკავებული ინსტიტუტების წარმომადგენლები. საერთო ჯამში, პროექტში ჩაერთო 500 ახალგაზრდა და მათი ოჯახის წევრები. შესაბამისი სამსახურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების 40 წარმომადგენელმა კი ტრენინგები გაიარა.

პროექტის მენეჯერის, **ნათია ახალაიას** თქმით, პროექტის დაწყებიდან დღემდე ხელობის შემსწავლელი კურსები გაიარა106-მა ახალგაზრდამ, მათ შორის 23 ყველაზე წარმატებულს, საგრანტო კონკურსში მონაწილეობის შედეგად, გადაეცათ საქმიანობების შესაბამისი აღჭურვილობები, რაც დასაქმებასა და საკუთარი მიკრობიზნესის წამოწყებაში დაეხმარათ. ექვსთვიანი მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი მონაცემების მიხედვით, ბენეფიციართა უმეტესობა დასაქმებულია და გააჩნია საკუთარი შემოსავალი.

„სოციალური მომსახურეობის სააგენტოსთან ერთად შევარჩიეთ სოციალურად დაუცველი ახალგაზრდები, რომლებმაც ხელობის შემსწავლელი კურსები გაიარეს. ახალგაზრდები მიზანდასახულობით და მაღალი მოტივაციით გამოირჩეოდნენ, შეძლეს თავის გამოჩენა და, როგორც მოწინავე ახალგაზრდებმა, საკუთარი შემოსავლის წყარო გაიჩინეს. დღეს ისინი

ნათია გვეტაძე

თეონა აკობიძე

არ არიან სახელმწიფოს შემყურენი და შეუძლიათ, ლუკმა-პური თავადვე გამოიმუშავონ."

თავიანთ მიღწევებზე დღეს ამაყად საუბრობენ პროექტის მონაწილეები, რომლებმაც ორგანიზაციის დახმარებით შეძლეს საკუთარი ბიზნესის აწყობა.

„თქვენ ჩემი ცხოვრება შეცვალეთ"

ნათია გვეტაძემ ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული, სტილისტის პროფესიის შემსწავლელი სამთვიანი კურსი გაიარა. მან წარმატებით დაძლია პროექტის ყველა ეტაპი შესარჩევი კანდიდატობიდან — გრანტით დაფინანსებამდე. ექვსთვიანი მონიტორინგის დროს ნათია ერთდროულად საკმაოდ მონდომებულად სწავლობდა და მუშაობდა. მან აგრეთვე გახსნა საკუთარი სილამაზის სალონი ტყიბულში. აპრილის თვიდან კვირაში ორჯერ, ნათიამ დაიწყო ქუთაისში სტილისტის პროფესიის შემსწავლელ დამატებით კურსებზე სიარული, რაც საერთო ღირებულებით 150 დოლარი ჯდება და, რაც მთავარია, ის ამ თანხას საკუთარი შემოსავლიდან იხდის. რაც შეეხება მის სალონს, ის იქ კვირაში 4 დღე მუშაობს და თვეში საშუალოდ 200-350 ლარს გამოიმუშავებს.

ნათია გვეტაძე, 25 წლის, სტილისტი: „როდესაც ტყიბულის ერთ-ერთ სალონში ვიყავი, გოგონები საუბრობდნენ პროფესიულ ტრენინგებზე, რომლებსაც არასამთავრობოები ატარებდნენ იმ სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის, ვისაც რაიმე პროფესიის შესწავლა სურდა. დავინტერესდი ამ ამბით და მეტი ინფორმაციის გასაგებად ერთ-ერთ ადგილობრივ არასამთავრობოს მივმართე (TDDF) და შემდეგში სოციალურმა მუშაკმა ამიხსნა, რომ თურმე ორგანიზაცია „ადამიანები გაჭირვებში" ანხორციელებდა სოციალურად დაუცველი ახალგაზრდებისა და მათი ოჯახების მხარდაჭერის პროგრამას.

მე ეკონომისტი ვარ, მაგრამ ჩემი პროფესიით არასდროს მიმუშავია. ყოველთვის მინდოდა სტილისტის პროფესიის დაუფლება. მეუღლეს სამუშაო არ ჰქონდა და სწორედ ამიტომ გადავწყვიტე ზემოთაღნიშნული კურსების გავლა. ამის შემდეგ, როგორც ერთ-ერთმა წარმატებულმა კურსდამთავრებულმა, მივიღე საგრანტო კონკურსში მონაწილეობა და გამარჯვების შემდეგ მომეცა საშუალება, რომ დამეწყო საკუთარი ბიზნესი ან გამეუმჯობესებინა სტილისტის პროფესიისთვის საჭირო აღჭურვილობა. ბიზნესის დაწყებამდე სოციალურ დახმარებას ვიღებდით, მაგრამ სალონის გახსნის შემდეგ ეს დახმარება შეგვიწყდა. ამჟამად წარმატებით ვუძღვები სალონს, მაგრამ გამოცდილების შესაძენად მეტი პრაქტიკა მჭირდება. გადავწყვიტე სწავლის გაგრძელება და ახლა კვირაში ორჯერ ქუთასში მდებარე ერთ-ერთ სილამაზის სალონში გავდივარ პრაქტიკას. ძალიან გახარებული ვარ, რომ საშუალება მაქვს ვიმუშაო და ვისწავლო მეტი.

ახლა უკვე არანაირი სახელმწიფო დახმარება აღარ მჭირდება და ამ საკითხში ჩემი ოჯახი უფრო დამოუკიდებელია.

დიდი მადლობა ორგანიზაციას „ადამიანები გაჭირვებაში". მე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ თქვენ შეცვალეთ ჩემი ცხოვრება."

„ყველაზე დიდი საჩუქარი"

თეონა აკობიძემ გაიარა მასაჟისტის პროფესიის შემსწავლელი სამთვიანი კურსი, რომელიც ორგანიზაცია PIN-მა დააფინანსა. თეონა თავიდანვე ძალიან აქტიურად და გულმოდგინედ მიუდგა ამ საკითხს და წარმატებით გაიარა პროგრამის ყველა ეტაპი კანდიდატობიდან-გრანტით დაფინანსებამდე. 2013 წლის დეკემბერში თეონამ გაიმარჯვა მცირე საგრანტო კონკურსში, რის შემდეგაც მას გადაეცა შესაბამისი აღჭურვილობა. ორგანიზაციის მიერ ორგანიზებული ტრენინგების შემდეგ, თეონას მასწავლებელმა მისცა პრაქტიკის მიღების საშუალება. რამდენიმე თვის განმავლობაში ის მუშაობდა, რათა აემაღლებინა საკუთარი კვალიფიკაცია და უნარები. მაისიდან მოყოლებული მას ჯერ საკუთარ სოფელში ჰყავდა რამდენიმე კლიენტი, ხოლო ივნისიდან კი 2-წლიანი კონტრაქტის საფუძველზე, სრულ განაკვეთზე მუშაობა დაიწყო წყალტუბოს №6 აბანოში, სადაც ის ჰიდრომასაჟის სპეციალისტია.

თეონა აკობიძე, 22 წლის, მასაჟისტი: „მე გახლავართ წყალტუბოს რაიონის სოფელ გუმბრინიდან. მყავს ერთი უმცროსი და და ბებია, რომელმაც გაგვზარდა მე და ჩემი და, ჩვენი მშობლების სიკვდილის შემდეგ. სოციალური მუშაკისგან გავიგე, რომ თქვენი ორგანიზაცია ატარებდა სპეციალურ ტრენინგებს მათთვის, ვისაც ახალი პროფესიის დაუფლება და სამუშაოს შეძენა სურდა. ბავშობიდან ვოცნებობდი მედდის პროფესიაზე, ან რაიმე სახის სამედიცინო განათლებაზე, გადავწყვიტე, მასაჟის შესწავლა და ამაში ბებიაც მეხმარებოდა, რადგან ეს პროცედურები თვითონ მას სჭირდებოდა ავადმყოფობის დროს. 3-თვიანი კურსის დასრულებისა და შესაბამისი აღჭურვილობის შეძენის შემდეგ, უკვე ახალი პროფესიით დავიწყე მუშაობა. მინდა აღვნიშნო, რომ სწავლის პერიოდში პროფესიონალი მასწავლებელი მყავდა, რომელთანაც ძალიან თბილი ურთიერთობები ჩამომიყალიბდა და სწავლის დასრულების შემდეგ, მან უფლება მომცა, უსასყიდლოდ მის სამუშაო ადგილზე მიმეღო პრაქტიკა. ივნისის დასაწყისში მე და ბებია, ჩემი მასწავლებლის რეკომენდაციით მივედით მინერალური წყლების აბანოში, სადაც დავიწყე ჰიდრომასაჟის კეთება. უკვე მესამე თვეა ვმუშაობ. მაქვს საკუთარი შემოსავალი და გაფორმებული სამუშაო კონტრაქტი 2 წლის ვადით. შემოდგომისთვის კი ვგეგმავ ჩემს ბიძაშვილთან ერთად გავხსნა ჩემი საკუთარი სამუშაო სალონი. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო PIN-ს. აქამდე არ მჯეროდა მსგავსი შემთხვევების, როდესაც ვინმე უსასყიდლოდ გეხმარება, სწორედ ამის გამო, ეს ყველაზე დიდი და მოულოდნელი საჩუქარია ჩემს ცხოვრებაში.

აღნიშნული პროექტი ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა.

ჟანა ჯანელიძე

მკითხველის შემოქმედება

***

შემოვირბინე ხმელეთი, გაუხედნავი კვიცით,
გზად ვნახე შვიდი სამთავრო, გამოვიარე ფიცით,
დანარჩენი კი თქვენც იცით, დაისაკუთრეთ
რითიც,
ჩემი სამშობლო საქართველოა, მე და უფალმა
ვიცით.

***

არ დამცალდა შემოდგომა, რომ მელხინა შენით,
ფეხშიშველი, თოვლ-ჭყაპში დედა მიმყავს
ხვნეშით,
რომ ჩავიდე სამშვიდობოს, წყალი შევსვა პეშვით,
შევისვენებ, დავბრუნდები, იამაყებ ჩემით.

აფხაზეთო ჩემო, ცოდვა შემინდეო,
არ ივარგებს ასე, მარტო რომ იჯდეო!
არ იარო თოვლში, ქარბუქს ერიდეო,
ტანთ ჩაიცვი თბილად, არ გამიცივდეო!

ყოველ ღამით სევდიანი, მგლოვიარე მესიზმრები,
არც არაყს ვსვამ, არცა ღვინოს, საწამლავით
ვთვრები.
ვცდილობ, მაგრამ ვეღარ გშველი! უჩემოდ რას
შვრები?
არ შეჩერდე, არ დაბერდე, გამონახე გზები!

არ იფიქრო, დაგივიწყე, მე დავეძებ ძმას.
არ შეშინდე! არ გეგონოს, გავიხურავ კარს.
ცოტა კიდევ დაითმინე, მე შეგკრიბავ ჯარს,
მტერს გავყლეტ, ან შევაკვდები.
არ ვიცოცხლებ თავს.

ბიჭებო გამოიღვიძეთ! გამოდით ყველა დღეს,
შეიბით ქამარ-ხანჯალი, სადამდე გული ძგერს,
ხვალე იქნება გვიან! დავკარგავთ დედა კვერს,
ჩვენსა ზღვასა და მიწა-წყალს
გადაულოცავს გერს.

***

გუშინწინ ვნახე ბუღას-ძე თამარის
ფერხთა თანაო,
მიტევებასა ითხოვდა, თვალცრემლიანი ჩანაო,
დარბაზი ეკითხებოდა, რადა ხარ გესლისთანაო,
შენ თუ არა ხარ, მონახე, მოძღვარი
რწმენისთანაო.

გუშინ კი ტურის-შვილებმა დაიწყეს
ჩუმი ქოთქოთი,
ლომებს უწუნებს მადასა, თავად არა აქვს
არც შოთი,
მწერალი ვარო იჩემებს, ატეხა ალიაქოთი,
კაცნი არა ხართ? იჩქარეთ,
ახლავე უნდა მას ქოთი.

დღეს კი ბერძენის-შვილებში გამოჩნდა
თავქარიანი,
მითხრეს, ერისკაცს შეჰბედა სიტყვანი
ავხორციანი,
ღმერთო, რად მოდის თაობა
ასეთი ცოდვილიანი,
ბრმა ხარ, თუ ვერ შეიცანი კაცია-ადამიანი!?

ხვალე რაღა ვქნა განგებავ, ავჩქარდი
წაწალთანაო,
მითხარ, მასწავლე, დამმოძღვრე!
გზანი მიჩვენე თანაო,
ღამდება, მთვარეც აღარ ჩანს,
ბნელია შავისთანაო,
აქ აღარ დამედგომება, მიმიღე შენისთანაო.

ბრძენმა თქვა, ჯერ დაფიქრდიო, რომ გახსნა
სიტყვის მარაო,
დადუმდი მანამ, სადამდე ხალხი
გეტყოდეს კმარაო.
ილიას კალმის გამკილავს, დღე აღარ გინდა
ხვალაო?
რას ბოდავ, რას ლაზღანდარობ, თანაც
სწავლულთა თანაო.

ვინაც თქვენ კაცნი გიწოდოს,
წაუხდეს დავითიანი,
არ გაუჩინოს საშველი, გაგვშორდეს
თვალცრემლიანი,
წყეულიმც იყავთ, ვერ შეძლებთ ერს
მიაყენოთ ზიანი,
სამნი რომ დავრჩეთ, სამსახად
გეყოფით დუშმანთ ზნიანნი.

***

მე ვერ ვიტანდი ქალებს! ვფიქრობდი, კაცის
ნეკნია,
მაგრამ ახლა რომ ვუყურებ, ვერვინ
მოდრიკა ქედია,
კაცებს ყურები არა აქვთ, თავს დახვევიათ
რეტია,
ხალხნო, უსმინეთ! გაჰყევით, იქნება ჩვენი ბედია.

ჭლექიანი

პედაგოგის მილოცვა სიამის ტყუპისცალ სკოლას

ქუთაისის პირველ საჯარო სკოლაში 185-ე წლის იუბილე აღნიშნეს. სკოლას ღირსშესანიშნავი თარიღი უამრავმა ადამიანმა მიულოცა. მათ შორისაა იოსებ ოცხელის სახელობის ქუთაისის მე-2 სკოლის პედაგოგი ციალა ჯაფარიძეც, რომელმაც სახელოვანი სკოლისადმი მილოცვა ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან გადაწყვიტა.

უდიდესი აღფრთოვანებით ვუერთდები თქვენს უსაზღვრო სიხარულს ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით, რომელსაც იუბილარ სკოლასთან ერთად მთელი არსებით განიცდის იოსებ ოცხელის სახელობის მე-2 სკოლა, რომლის აღსაზრდელთა და პედაგოგთა სახელითაც მოგესალმებით.

საუკეთესო სურვილები მინდა მოგიძღვნათ იმ სკოლისაგან, კვლავაც სახელოვნად რომ აგრძელებს წინამორბედი, სათავადაზნაურო გიმნაზიის ტრადიციებს. ამ ტრადიციების გამგრძელებლებთან ერთად მის ჭერქვეშ დაფრთიანებულთა და დამფრთიანებელთა სახელითაც მოგესალმებით და მჯერა, რომ დღეს, ამ საზეიმო შეკრებაზე, ჩვენთან ერთად ხარობენ ორივე სკოლის მესაძირკვლენი და საძირკვლის განმამტკიცებელნი, დიდი მამულიშვილები:

აკაკი წერეთელი, ექვთიმე თაყაიშვილი, დიმიტრი უზნაძე, კონსტანტინე გამსახურდია, ვიქტორ ნოზაძე, გიორგი ახვლედიანი ამ ორი სკოლის კედლებში რომ აღიზარდნენ და იდუმალ უერთდებიან ამ დიდ დღესასწაულს, მთელი სისრულით რომ გამოხატავს წინაპართა და თანამედროვეთა სულიერ კავშირს, საერთო-ეროვნულ, საერთო-კულტურულ ტრადიციებზე, საერთო სულიერ ღირებულებებზე დაფუძნებულს.

დღესაც, ისევე როგორც ათწლეულების წინათ, ეს ორი სკოლა დგას 3 500 წლის ქუთაისის სულიერი ცხოვრების სათავეში და თამამად ამბობს იმ სეფე სიტყვას, ფაზისისა და გელათის აკადემიების სუნთქვით დამთბარ კუთხეს რომ ეკადრება.

დღეს გაბედულად შემიძლია განვაცხადო, რომ ეს ორი სკოლა პირნათლად უსწორებს ერთმანეთს მხარს და ისევე სახელოვნად მეტოქეობს ერთმანეთთან, როგორც ბაგრატისა და გელათის ტაძრები დგანან აიეტის ნაფუძარის სადარაჯოზე აგერ ლამის მე-1000 წელიწადია.

სიამის ტყუპი პირველო სკოლავ, კვლავაც წარმატებით გევლოს საქართველოს სიბრძნის ტაძრად გადაქცევაში.

ციალა ჯაფარიძე,
იოსებ ოცხელის სახელობის ქუთაისის
მე-2 სკოლის პედაგოგი

ყვირის ჰოროსკოპი

ვერძი: უმჯობესია, მეტი დრო დაუთმოთ გადაუდებელი საქმეების მოგვარებას. ერიდეთ ხმაურიან ღონის)იებს და საზოგადოების შეკრების ადგილებს.

კურო: შეიძლება გამართლდეს თქვენი შიშები. ოღონდ ბევრ რამეში თქვენ თვითონვე მიგიძღვით ბრალი. არ ღირს მუდმივად ფიქრი ცუდზე, ამით თქვენ აახლოებთ მის განხორციელებას.

ტყუპები: დროა ისწავლოთ სასწრაფო საქმეების გამოყოფა გადაუდებელი საქმეებისგან. ნუ ეცდებით, ყველაფერი ერთ დღეს გააკეთოთ, ეს შეუძლებელია. უმჯობესია, სწორად გადაანაწილოთ პრიორიტეტები და დაიწყოთ ყველაზე პრიორიტეტულიდან. ნუ მიიტანთ ყველაფერს ახლოს გულთან.

კირჩხიბი: თქვენი მცდელობები დაარეგულირეთ, სიტუაცია წარმატებით მხოლოდ იმ შემთხვევაში დაგვირგვინდება, თუ თქვენი ქმედებები და სურვილები თანხმიმდევრული იქნება. მოვლენებს წინ ნუ გაუსწრებთ.

ლომი: გადამწყვეტი მოქმედებების დრო დგება. უნდა იმოქმედოთ სწრაფად და დაგეგმილად. თუ გეგმა ჯერ არ გაქვთ, მაშინ მიზნის მიღწევა გაგიჭირდებათ. თქვენს ქცევაზეა დამოკიდებული, როგორ განვითარდება მოვლენები თქვენს პირად ცხოვრებაში.

ქალწული: შიში შეუცნობადის წინაშე ჩვეულებრივი მოვლენაა. ოღონდ არ ღიროს საკუთარი როლის გადაჭარბება ყველაფერ იმაში, რაც ხდება. ბევრი იმაზე მეტს აკეთებს, ვიდრე თქვენ, მაგრამ გაცილებით ნაკლებ ყურადღებას იმსახურებენ.

სასწორი: ნუ მოინდომებთ სიმართლის ძიებას იქ, სადაც ის არაა. იყავით გამბედავი და სიმართლეს გაუსწორეთ თვალი. თქვენმა გატაცებებმა შეიძლება ზიანი მოგაყენონ და შეუძლებელი გახადონ ჩანაფიქრის განხორციელება.

მორიელი: უმჯობესია, მეტი დრო დაუთმოთ თქვენს ჯანმრთელობას და ახლობლებს. არის მომენტები, როცა თქვენი პრიორიტეტები აშკარად უნდა გამოიკვეთოს და არ უნდა იყოს დამოკიდებული თქვენს განწყობაზე, თუ სხვების ინტერესებზე.

მშვილდოსანი: შესაძლებელია სარფიანი წინადადება გაგიკეთონ. აგრეთვე დიდია ალბათობა კამათისა და საქმეების გარჩევისა ოჯახის წევრებთან.

თხის რქა: ყველაფერი ის, რისკენაც ბოლო ხანებში მიისწრაფოდით შესაძლებელია, არასწორი აღმოჩნდეს. გარშემომყოფებს ყურადღებით მოუსმინეთ.

მერწყული: თქვენი რწმენა ზოგიერთ საკითხებში შეიძლება არამყარი აღმოჩნდეს. ნუ შეგაშინებთ ცვლილებები ცხოვრებაში.

თევზები: ყველა საქმე გამოგივათ, ეჭვი ნუ შეგეპარებათ საკუთარ შესაძლებლობებში, თქვენ საკმარისი დრო და საშუალება გექნებათ მათი დემონსტრირებისათვის. ერთადერთი ხელისშემშლელი წინაღობა თქვენი მორიდებულობაა.

საქართველოში ყველაზე მეტი შიდსით დაავადებული თბილისსა და სამეგრელოში ცხოვრობს

3 დეკემბერს შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღე აღინიშნა.

გასულ წელთან შედარებით, საქარველოში შიდსის 25 ახალი შემთხვევით მეტი დაფიქსირდა. როგორც ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრიდან გვაცნობეს, 1 დეკემბრის მონაცემებით, ცენტრში რეგისტრირებულია ინფიცირების 4 646 შემთხვევა, რომელთაგან 3 413 მამაკაცია, 1 233 კი ქალი. პაციენტთა უმრავლესობა 29-დან 40 წლამდე ასაკისაა. ინფიცირებულთაგან შიდსი 2814 პაციენტს განუვითარდა, მათგან 966 გარდაიცვალა.

წელს ინფიცირების 515 ახალი შემთხვევა გამოვლინდა. მედიკამენტოზურ მკურნალობას 2 426 (მათ შორის აფხაზეთში — 304) პაციენტი გადის, მათგან 45 ბავშვია.

ცენტრის მონაცემებით, გასულ წელს აივ ვირუსით ინფიცირების 490 ახალი შემთხვევა იყო გამოვლენილი. თუმცა, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ამ მხრივ 2012 წელს დაფიქსირდა, როდესაც ახალი შემთხვევების რაოდენობა 526-ს შეადგენდა. აივ ინფიცირებულთა ყველაზე მეტი შემთხვევა თბილისში ფიქსირდება — 1532, რეგიონებიდან შემდეგ მოდის — სამეგრელო.

გადაცემის გზების მიხედვით რეგისტრირებულთა თითქმის 50% ინტრავენური ნარკომანია. 41% კი ჰეტეროსექსუალური კონტაქტის შედეგად დაინფიცირდა.

ცენტრში აცხადებენ, რომ შიდსის ეპიდემიის კანონზომიერებიდან გამომდინარე, აივ ინფიცირებულების სავარაუდო რიცხვი საქართველოში 6000-ს უტოლდება. ეს კი ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, საკმაოდ სოლიდური რიცხვია.

საქართველოში აივ ინფექცია/შიდსის პირველი შემთხვევა 1989 წელს გამოვლინდა.

interpressnews.ge

დიქტატორის მორიგმა გადაწყვეტილებამ მსოფლიო შოკში ჩააგდო

ჩრდილოეთ კორეის მმართველმა სახელ კიმ ჩენ ინის ტარება აკრძალა.

გადაწყვეტილებამ მსოფლიო საზოგადოება აალაპარაკა.

ჩრდილოეთ კორეის მთავრობის სპიკერის განცხადებით, პრეზიდენტ კიმ ჩენ ინის ინიციატივით, ქვეყნის ყველა მოქალაქეს ეკრძალება ბავშვებზე კიმ ჩენ ინის სახელის დარქმევა. ამას გარდა, ტაბუდადებულ სახელებში ქვეყნის ყოფილი მმართველების სახელებიც მოხვდა. კიმ ჩენ ინის სურვილია, რომ ქვეყანაში ამ სახელს მხოლოდ თავად ატარებდეს.

frontnews.ge

უფასო განცხადებები

იყიდება

- ვამონტაჟებ მთელი სახლის ელექტროგაყვანილობას, ან ვცვლი დაზიანებულს. ვარემონტებ მცირე საოჯახო ტექნიკას.
  ტელ.: **598 577 129;**
  25 38 17 (იკითხეთ მურთაზი)
- იყიდება სამოსახლო ეზო ქუთაისში, ტყიბულის ქუჩაზე. 500 კვადრატული მეტრი. ფასი შეთანხმებით.
  ტელ.: **599 41 27 49; 25 38 17**



შეადგინა ალეკო ნემსაძემ

როგორ განვათავსოთ განცხადება გაზეთ „P.S.“-ში („პოსტსკრიპტუმში“)

უფასოდ

ქვემოთ მოცემულ კუპონზე

განცხადებების მიღება ხდება კერძო პირებიდან

დაბეჭდვის თარიღი დამოკიდებულია კუპონის მიწოდების თანმიმდევრობაზე

კუპონი უნდა ჩაბარდეს

რედაქციაში - ქ. ქუთაისი, რუსთაველის ქუჩა 37ა;

სავაჭრო ცენტრ „ფუდმარტში“(ყოფილი „პოპული“) - წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“, რუსთაველის 141.

არ მიიღება კანონთან შეუსაბამო, შეურაცხმყოფელი, უხამსი, ეროტიკული შინაარსის განცხადებები.

განცხადების ღირებულება შედის გაზეთის ფასში

მცირე განცხადების კუპონი

აღნიშნე კატეგორია

უძრავი ქონება
☐ გავყიდი
☐ ვიყიდი
☐ გავაქირავებ

ავტო-მოტო
☐ ვიყიდი
☐ გავყიდი

სამსახური
☐ ვეძებ სამუშაოს

სხვადასხვა
☐ ვიყიდი
☐ გავყიდი
☐ სხვა

☐ ცხოველები

განცხადების შინაარსი

ტელ: >>

სახელი და გვარი (მხოლოდ რედაქციის ცნობისათვის)

კონტაქტი (მობილური ან სტაციონალური)

ელექტრონული ფოსტის მისამართი

☐ **არ ვარ განცხადების შინაარსთან დაკავშირებული კერძო მეწარმე**

☐ ვაცხადებ თანხმობას, ფირმის მიერ გამოყენებულ იქნას განცხადებაში აღნიშნული მონაცემები

ხელმოწერა გარკვევით

რედაქციას აქვს უფლება, კუპონზე შევსებული ერთჯერადი განცხადება დაბეჭდოს კუპონის ჩაბარების დღიდან 14 დღის განმავლობაში კუპონი (ერთჯერადი) არის ძალაში მისი გამოქვეყნების დღიდან 3 კვირის განმავლობაში.

8.12.2014

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

პარლამენტარი **გია ვოლსკი,** სამწუხაროდ, ჩვენი გაზეთის მკითხველმა ვერ ამოიცნო.

რას დაარქმევდით?

სანდრო კვიტაშვილი

დაგვიკავშირდით:

- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

ვანო მერაბიშვილი

გამოლაყებული კოჰაბიტაციის დაცვის ქვეშ მოყურყუტე სალაყაიას მეორე ნახევარი...

შაქრო გაბელაშვილი

კროსვორდი

ჰორიზონტალურად:
3. შხამიანი ობობას სახეობა; 5. ალ. ყაზბეგის მოთხრობა; 6. დედამიწის ქალღმერთი ბერ-)ნულ მითებში; 8. უოლტერ სკოტი: „რომ ...“; 9. ... ჩიმარო; 11. სომხეთის დედაქალაქი.

ვერტიკალურად:
1. „... საოცრებათა ქვეყანაში“; 2. ქართული მინერალური წყალი; 3. მერიმეს ნოველა „მატეო ...“; 4. „იტალიის“ ნახევარკუნ)ული; 7. შოკოლადის ხე; 10. გუინპლენის ბრმა სატრფო.



წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

ჰორიზონტალურად: 3. ჰერაკლე; 5. ომსკი; 6. აგე; 8. ალო; 9. ბროლი; 11. ინგლისი.

ვერტიკალურად: 1. არაკი; 2. მკა; 3. ჰიმალაი; 4. ენგელსი; 7. არმია; 10. უგო.

გაზეთ „P.S.“-ის საახალწლო აქცია:

„ვაჩუქოთ ერთი დღე ბავშვებს!“

გახდი ქველმოქმედი, შემოუერთდი აქციას, აჩუქე ერთი ლამაზი ახალი წელი მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს — შეუძინე მათ სათამაშოები, წიგნები თუ ტკბილეული!

გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“ გთავაზობთ პარტნიორობას საახალწლო სოციალურ პროექტში: „ვაჩუქოთ ერთი დღე ბავშვებს!“

პროექტი ითვალისწინებს საქველმოქმედო შემოწირულობებით წინასაახალწლოდ წიგნების, სათამაშოებისა და ტკბილეულის შეძენას რეგიონებში არსებული ბავშვთა სახლების, დღის ცენტრებისა და იმ სასწავლო დაწესებულებებისათვის, სადაც უმეტესად დევნილი, სოციალურად დაუცველი, შშმ და მზრუნველობამოკლებული პატარები სწავლობენ.

შემოწირულობების რაოდენობაზეა დამოკიდებული, თუ რამდენი ბავშვის გახარებას შევძლებთ საახალწლოდ. ამიტომ, გთხოვთ, იაქტიურეთ, თქვენი შესაძლებლობების მიხედვით ჩაერთეთ ამ აქციაში, რათა შევძლოთ, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ბავშვები გავახაროთ საახალწლო საჩუქრებით.

ქველმოქმედ ადამიანებსა თუ კომპანიებს მედიასახლი „პოსტსკრიპტუმი“ სარეკლამო საინფორმაციო მხარდაჭერას სთავაზობს.

თუ თქვენი კომპანია ჩაერთვება ამ საქველმოქმედო აქციაში, მედიასახლი „P.S.“ („პოსტსკრიპტუმი“) ერთი თვის მანძილზე უფასოდ გამოგიყოფთ **თქვენი საქველმოქმედო შემოწირულობის ტოლფას სარეკლამო ფართს გაზეთ „პოსტსკრიპტუმის“ ინტერნეტპორტალზე www.psnews.ge, სადაც შესაძლებელი იქნება თქვენთვის სასურველი ნებისმიერი რეკლამის, განცხადების, მილოცვისა თუ სტატიის გამოქვეყნება.**

გთხოვთ, ქველმოქმედებისათვის გამოყოფილი თანხა ჩაგვირიცხოთ შემდეგ ანგარიშზე:
„თიბისი“ ბანკის ქუთაისის ფილიალი;
ბანკის კოდი: 220101888
ანგარიშის# GE05TB0300000040467281
მიმღები: შპს „P.S.“ („პოსტსკრიპტუმი“)
ს/კ 212822775

პატივისცემით, **ნატო გუბელაძე**
გაზეთ „პოსტსკრიპტუმისა“ და
ინტერნეტგამოცემა www.psnews.ge-ს მთავარი რედაქტორი

599 107794; 577 247711

7 წყენა, რომელსაც ბავშვი დიდობაშიც არ პატიობს მშობლებს

სამწუხაროდ, არსებობს ისეთი რამეები, რასაც ადამიანები ვერასდროს პატიობენ მშობლებს და ბავშვობის წყენა გაცილებით მეტხანს ამახსოვრდებათ, ვიდრე ათასი ამაგი და სიკეთე. ფსიქოლოგები ირწმუნებიან, რომ ახლობლების მიერ ბავშვობაში მიყენებული წყენა მთელი ცხოვრება რჩება. მაინც რა სწყინთ ბავშვებს ყველაზე მეტად და რას უნდა მიაქციონ მშობლებმა ყურადღება?

როცა მშობლები შვილებს არჩევენ
ეს ის გულისტკენაა, რომელიც სამუდამოდ რჩება ადამიანს და მის ფსიქიკაზეც დიდ გავლენას ახდენს. ხშირად ხდება, რომ დედას თუ მამას (ან ორივეს ერთად) გამორჩეულად უყვარს რომელიმე შვილი და მის ფონზე მეორეს ჩაგრავს. შეიძლება, სიყვარულით არც უყვარს მეტად, მაგრამ ყოველთვის ისე იქცევა, რომ ასეთი ფონი იქმნება. ასეთი რამ ადამიანს არასდროს ავიწყდება და ის ყოველთვის გულნატკენია მშობლებზე იმის გამო, რომ ნაკლებად უყვარდათ.

ბავშვის აზრის უგულებელყოფა
ბევრ ოჯახშია ეს პრობლემა, როცა მშობლები არანაირად არ თვლიან საჭიროდ, ბავშვს ჰკითხონ აზრი რაიმეზე, თუნდაც მასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მის აზრს პატივს არ სცემენ, ხშირად დასცინიან და ამცირებენ. „კიდევ რა გინდა?“ „ისე იქნება, როგორც მე ვამბობ“, „შენ ვინ გეკითხება?“ — ასეთი გამოთქმები და დამოკიდებულება უკვე გაზრდილ ბავშვებს დიდხანს ახსოვთ.

უსამართლობა
ესეც ხშირი პრობლემაა. ხშირად მშობლები უსამართლოდ სჯიან ბავშვებს იმ საქციელისთვის, რაც, არც კი ჩაუდენიათ. ან ისეთი საქციელისთვის, რაც მინიმუმ — სასჯელს არ იმსახურებდა, მაქსიმუმ კი (დიახ, ასეთი შემთხვევებიც არის) — ჯილდოს ღირსი იყო. უსამართლო და დაუმსახურებელი ბრალდებები და სასჯელი მთელი ცხოვრების გულისტკენად რჩება.

ღალატი და ტყუილი
რასაც ბავშვები ვერასდროს ივიწყებენ — ეს არის ახლობელი ადამიანის ღალატი. ბავშვის სანუკვარი საიდუმლოს სხვებისთვის გამხელა, სხვათა ინტერესების ბავშვზე წინ დაყენება, პირობის დარღვევა — უფროსების ასეთი საქციელი ბავშვზე უარყოფითად მოქმედებს და მშობლებისადმი პატივისცემასაც უქრობს.
ასევეა ტყუილი — თუნდაც, კარგი განზრახვით — რომ ბავშვს დაუმალონ რაიმე სამწუხარო თუ უისიამო ფაქტი, თითქოსდა მისი ტრავმირების თავიდან ასაცილებლად. თუმცა ბავშვს თურმე ამგვარი რამეები ძალიან სწყინს.

გულგრილობა
„რაც გინდა, ის გააკეთე, სულ ერთია“ — მშობლების ასეთი დამოკიდებულება არანაკლებ საწყენია, ვიდრე გამუდმებული აკრძალვა და დიქტატი. გულგრილობა, ზედაპირული და გაუცხოებული დამოკიდებულება შვილის მიმართ, სერიოზული ფსიქოლოგიური ტრავმის მიზეზი შეიძლება გახდეს, რაც მასზე სამუდამო დაღს დატოვებს.

სხვებთან შედარება
ბევრმა მშობელმა იცის ბავშვის შედარება მის და-ძმასთან თუ სხვა, მშობლის გადასახედიდან უფრო წარმატებულ ბავშვთან. ბავშვს უყალიბდება განცდა, რომ მას ყველა ჯობია, ის ჩამორჩენილი და გარიყულია. ამ წყენას, ამ მუდმივ შეჯიბრს და დამცირებას ის ვერასდროს ივიწყებს. ამიტომ ჯობს, ხშირად შეაქოთ, წახალისოთ.

„მე შენი არ მჯერა“
ძალიან ხშირად მოსიყვარულე მშობლებიც დიდ შეცდომას სჩადიან, როცა გამუდმებით ახდენენ იმის დემონსტრირებას, რომ არ ჯერათ თავიანთი შვილების და მათი შესაძლებლობების. „მომეცი, ჯობია მე გავაკეთო“, „შენ მაინც არ გამოგივა“, „როგორ არაფერი გამოგდის, ვის სჭირდები ასეთი უგერგილო“ — ეს ის ფრაზებია, რომლებიც გამუდმებით რჩება ბავშვის თავში და სერიოზულ გავლენას ახდენს მის შემდგომ ცხოვრებაზე. მიზეზი ბევრია, რითაც გულს ვტკენთ ხოლმე ბავშვს, თუმცა მათი გარკვეული ნაწილი მალე ავიწყდება პატარას, უკვალოდ ქრება. ზოგიერთი კი დიდხანს ამახსოვრდება. მშობლებმა ყოველთვის უნდა იფიქრონ, მათი რომელი ქმედებები, სიტყვები და ემოციები (თუ უემოციობა) შეიძლება აღმოჩნდეს მტკივნეული და სერიოზული ფსიქოლოგიური დარტყმაც კი, რასაც შვილი არასდროს დაივიწყებს.

mshoblebi.ge

როგორები იქნებიან 2015 წელს დაბადებული ბავშვები

რისთვის არის საჭირო ჰოროსკოპები და საერთოდ თუ არის საჭირო? ყველა თავისებურად უპასუხებს ამ შეკითხვას.

მაგრამ სულ ერთია, ვის როგორი დამოკიდებულება აქვს მომავლის წინასწარმეტყველების მიმართ, ყველას ერთი რამ აერთიანებს: გვინდა გვჯეროდეს, რომ წინ მხოლოდ კარგი გველოდება. დამდეგი ახალი, 2015 წელი აღმოსავლური კალენდრის მიხედვით, რომელიც საკმაოდ პოპულარულია ჩვენს ქვეყანაშიც, ხის ლურჯ-მწვანე თხის (სხვა წყაროებით — ცხვრის) წელია.

ამბობენ, რომ გარკვეული ცხოველის წელს დაბადებულ ადამიანს მისი მსგავსი ხასიათებიც აქვსო. მაშ ასე, როგორები იქნებიან ცხვრის წელში დაბადებული ბავშვები?

ასტროლოგების თქმით, 2015 წელი შესანიშნავია ბავშვის დასაბადებლად. ამ წელს დაბადებულ ბავშვებს აუცილებლად ექნებათ წარმატება და ბედნიერები იქნებიან. მათი ენერგია და იღბალი ყოველთვის წასწევს წინ და გამოარჩევს დანარჩენ მასას შორის. შინაგანი პოტენციალი ასეთ ბავშვს ყოველთვის მოაქცევს ყურადღების ცენტრში, მისი ლიდერის თვისებებიც ასევე გამორჩეული მახასიათებელი იქნება ამ პიროვნებებისთვის.

თხის (ცხვრის) წელს არაერთი მსოფლიო მასშტაბის პიროვნება უჩუქებია კაცობრიობისთვის, რომლებმაც დიდი კვალი დატოვეს. ამიტომაც ამ წელს დაბადებულ ბავშვებს საკმარისი ყურადღება სჭირდებათ მშობლებისგან, რათა მათ მიდრეკილებებს და მიზნებს მაქსიმალურად შეუწყონ ხელი, სწორად აღზარდონ ბავშვი და არც მეტისმეტად გააამპარტავნონ, არც ჩაუქრონ ლიდერის თვისებები.

mshoblebi.ge

ПРЕСКОНФЕРЕНЦИЕБИ, ბრიფინგები, პრეზენტაციები

PSpress-კლუბი

ქუთაისი, რუსთაველის 37ა (პრესის სახლი). 599 10 77 94